# ლელო

№069 (12 139)

24 მარტი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. B ჯგუფი. გლაზგო. ჰემპდენ პარკი. შოტლანდია vs საქართველო. 19:00

# ოჰ, ეს მუხლი... ითამაშებს შოთა?

## გუშინ არველაძეს ჰემპდენზე არ უვარჯიშია



პაატა თოთაძე
გლაზგოდან



ავტორის ფოტო

ტოპმიოლერი: დღეს ჟღვრთნი გუნდს, რომელსაც მეტოქისთვის სიურპრიზის შეთავაზება შეუძლია

გუშინ მითხრეს, ხვალ, ვარჯიშამდე, კლაუს ტოპმიოლერი პრესკონფერენციის ჩატარებას აპირებს, მანამდე კი იმავეს ალექს მაკლიშიც გააკეთებსო. შოტლანდიელთა ვარჯიშის ნახვა და ფეხბურთელებთან გასაუბრება, ალბათ, ვერც დღეს მოხერხდება. აქაური საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელი დელიკატურად გვთხოვს, ამ სურვილზე უარი ვთქვათ, უხერხული მდგომარეობა არ შეიქმნასო. მოკლედ, არ უნდათ ჩვენი მისვლა და ძალაა? მეტოქის ბანაკში შეღწევის ერთადერთი შანსი, მაკლიშის პრესკონფერენციაა, მაგრამ...

მცდელობის მიუხედავად, ესეც შეუძლებელია. ადგილი, სადაც მაკლიში მედიას ხვდება, გლაზგოდან საკმაოდ მოშორებულია. გავთვალე, რომ წასვლის შემთხვევაში, ვერც ტოპმიოლერის პრესკონფერენციას დავესწრებოდი და ვერც ვარჯიშს. ჰოდა, რაღა მქონდა საფიქრალი...

"ჰემპდენ პარკზე" მისულს, დაცვის თანამშრომელი არ მიშვებს. ჩემთან ერთად, კიდევ ორი ქართველია. დაახლოებით ხუთი წუთი კამათს მოვანდომეთ და ბოლოს, უკითხავად შესვლა გადავწყვიტეთ. არც შევმცდარვართ, შიგნით ყველამ ყველაფერი იცის. იქვე, შოტლანდიელი ჟურნალისტები ტრიალებენ. რაღაც ჩოჩქოლი მესმის, ვტრიალდები და... აი, ტოპმიოლერიც გამოჩნდა...

### ტოპმიოლერი: ამათ ჰგონიათ, დიდი ანგარიშით უნდა მოგვიგონ, არაფრად გვაგდებენ...

**- როგორი განწყობით ხართ ჩამოსულები, რას გეგმავთ ხვალ?**

- ვისაც არ უნდა ვეთამაშებოდეთ, ყველასთან მოსაგებად გავდივართ მოედანზე. ასეთია პირადად ჩემი ფილოსოფია. თურქეთთან მატჩის შემდეგ, ვფიქრობთ, შეგვიძლია აქაც სამი ქულისთვის ვიბრძოლოთ და მოვიპოვოთ კიდეც.

**- ხუთი წლის შემდეგ კვლავ მოგიწიათ "ჰემპდენ პარკზე" დაბრუნება. პირველი სტუმრობა წარმატებული არ ყოფილა. ეს ცუდ ხასიათზე ხომ არ გაყენებთ?**

- არა. თქვენ წარმოიდგინეთ, "რეალთან" წაგების მიუხედავად, კარგი მოგონებები მაქვს. "ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდა, მაგრამ ერთი ეს მითხარით: მაშინ ვინმეს ეგონა, რომ საერთოდ ჩამოვიდოდით აქ ფინალის სათამაშოდ?

**- სიურპრიზები გიყვართ?**

- დღეს ჟღვრთნი გუნდს, რომელსაც შეუძლია მეტოქისთვის სიურპრიზის შეთავაზება.

**- შემადგენლობის მხრივ გაქვთ პრობლემები?**

- დიახ, გვაქვს. რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლია. ასათიანი რომ არ ითამაშებდა, ვიცოდით, მაგრამ ცუდია, კალაძეც რომ ვერ ჩამოვიდა. ამ ორი ფეხბურთელის არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისია.

**- რა იცით შოტლანდიის ნაკრებზე?**

- უოლტერ სმიტის შოტლანდია კარგად მყავდა შესწავლილი, მაკლიშის შოტლანდიას რაც შეეხება, ჯერჯერობით, მას არ ვიცნობ... მაგრამ გავიცნობ...

**- რა შეიცვალა საქართველოს ნაკრებში თქვენი მისვლით?**

- კობიაშვილმა მითხრა, ადრე დიდ გუნდებთან მინიმალური ანგარიშით წაგებას ლამის წარმატებად გვითვლიდნენო. აი, რა შეიცვალა. ახლა მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ. წაგება, პატარა ანგარიშით იქნება, თუ დიდით, მიუღებელია...

2



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კლოდ სორელი გუშინდელ პრესკონფერენციაზე

# ნუ დამისტვენთ, ძმებო, ქართველი ვარ!

## რუსების დამარცხება ეროვნული ტრადიციაა

ბესიკ ჯანგავაძე

**საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა მატჩისწინა პრესკონფერენცია ბორჯღალოსანთა ყოფილი თავკაცის, კლოდ სორელის მონოლოგად გადაიქცა. რუსეთის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი საქართველოში კიდევ ერთხელ სტუმრობითა და ნაცნობი ადამიანების ხილვით აშკარად კმაყოფილი იყო, ემოციას ვერ ფარავდა. შეკრებილებს ქართულად მოგვესალმა.**

**ცხადია, ყველასთვის საინტერესო იყო, როგორ აღმოჩნდა ჩვენი ყველაზე პრინციპული მეტოქის ბანაკში სორელი:**

- ისე გამოვიდა, რომ საქართველოს აღარ ვჭირდებოდი და რუსეთში ამოვყავი თავი. ხუმრობით, ცხადია. სერიოზულად კი საქმე ისაა, რომ მიმაჩნია, რუსეთს საკმაოდ დიდი სარაგბო პოტენციალი აქვს. მას დღესდღეობით სულაც არ უკავია მსოფლიო რაგბიში საკადრისი ადგილი. მე და ჩემმა ასისტენტმა ტიერი რუდილმა გადავწყვიტეთ, ამ ქვეყნის რაგბის განვითარებაში შევიტანოთ ჩვენი წვლილი.

European Nations Cup
Championnat Européen des Nations

11

ერთა თასი 2007/08
დღეს. ეროვნული. 15:00

**საქართველო–რუსეთი**

საქართველო: 15.პალიკო ჯიმშელაძე (კაპ) 14 გიორგი შკინინი, 13. მალხაზ ურჯუკაშვილი 12. ირაკლი გიორგაძე 11. ბესიკ ხამაშურიძე 10. მერაბ კვირიკაშვილი 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. დავით ხინჩაგიშვილი 2. დავით დადუნაშვილი 3. ავთანდილ კოპალიანი 4. ლევან დათუნაშვილი 5. ზურაბ მჭედლიშვილი 6. გია ლაბაძე 7. გიორგი ჩხაიძე 8. ბესო უდესიანი / 16. რევაზ ბელქანია 17. დავით გასვიანი 18. ვიქტორ დიდებულიძე 19. ილია მაისურაძე 20. ბიძინა სამხარაძე; 21. დავით კაჭარავა 22. გიორგი ელიზბარაშვილი.

რუსეთი: 15. იგორ კლუჩნიკოვი 14. ანდრეი კუზინი 13. სერგეი ბელოუსოვი 12. იგორ გალინოვსკი 11. ალექსანდრ გვოზდოვსკი 10. იური კუშნარიოვი 9. ალექსანდრ შაკიროვი; 1. ალექსანდრ ხროკინი 2. ვლადიმირ მარჩენკო (კაპ) 3. ივან პრიშეპენკო 4. არტემ ფატახოვი 5. ანდრეი გარბუზოვი 6. კირილ კუშნარევი 7. ვიაჩესლავ გრაჩოვი 8. ალექსეი პანასენკო /16. სერგეი პოპოვი 17. ივან ნაუმენკო 18. ვიქტორ კოზევი, 19. ვიქტორ გრესევი; 20. ალექსანდრ იანუშკინი 21.სერგეი სუგრუბოვი 22. ვლადიმირ ოსტროუშკო

მსაჯი: ფრანკ მასიელო (საფრანგეთი)

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# შოტლანდია vs საქართველო

ევრო 2008. B ჯგუფი. გლაზგო. ჰემპდენ პარკი. 19:00. არბიტრი: ნიკოლაი ვოლკარცი (დანია)

ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი

**საქართველოს ნაკრების მატჩები შოტლანდიამდე**

EURO2008 Austria-Switzerland

**ფარერები-საქართველო**

**0:6**

16.08.06. ტოფტირი.
2144 მაყურებელი

0:1 მუჯირი (16), 0:2 იაშვილი (18. გოგუას პასით), 0:3 არველაძე (37. გოგუას პასით), 0:4 კობიაშვილი (51. პენ.), 0:5 არველაძე (62. დემეტრაძის პასით), 0:6 არველაძე (82. კობიაშვილის პასით)

ფარერები: მიკელსენი, ი. იოენსენი, ა. დანიელსენი, იოჰანესენი (კაპ), იორგენსენი (ჰანსენი, 46), ბენიამინსენი, ბორგი, კ. ნილსენი, ს. სამუელსენი (ჰ. სამუელსენი, 60), კ. იაკობსენი, რ. იაკობსენი (ფრედრიკსბერგი, 71).

საქართველო: ჭანტურია - ალადაშვილი (გახოკიძე, 71), შაშიაშვილი, ასათიანი, კანდელაკი (კვირკველია, 66) - კობიაშვილი (კაპ), კანკავა - გოგუა (დემეტრაძე, 57), მუჯირი, იაშვილი - არველაძე.

გაფრთხილება: რ. იაკობსენი (29), იოჰანესენი (43).

არბიტრი: მაიკლ როსი (ჩრდ. ირლანდია).

**საქართველო-საფრანგეთი**

**0:3**

02.09.06. თბილისი. ეროვნული.
55 000 მაყურებელი

0:1 მალუდა (7) 0:2 საა (17) 0:3 ასათიანი (47, ავტოგოლი)

საქართველო: ჭანტურია - ალადაშვილი (37. კანდელაკი), ხიზანიშვილი, ასათიანი, გოგუა - კანკავა, კობიაშვილი - დემეტრაძე, მუჯირი (81. მენთეშაშვილი), იაშვილი (46. კვირკველია 46) - არველაძე

საფრანგეთი: კუპე - სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი - რიბერი (68. გოვუ), მაკელელე (57. მავუბა), ვიეირა, მალუდა - ანრი, საა (84. ვილტორი)

გაფრთხილება: კობიაშვილი (11), კანკავა (45), გოგუა (51), დემეტრაძე (80)

არბიტრი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

**უკრაინა-საქართველო**

**3:2**

06.09.06. კიევი. ოლიმპიისკი
40 000 მაყურებელი

1:0 შევჩენკო (31) 1:1 არველაძე (36) 1:2 დემეტრაძე (59) 2:2 როტანი (60) 3:2 რუსოლი (79)

უკრაინა: შოვკოვსკი - ტკაჩენკო (64. ვორობეი) რუსოლი გუსინი (46. ეზერსკი ) ნესმაჩნი - გუსევი შელაევი ტიმოშჩუკი როტანი - რებროვი (56. ვორონინი) შევჩენკო

საქართველო: ჭანტურია - გოგუა ხიზანიშვილი ასათიანი იმედაშვილი (34. კანდელაკი) - 18. მენთეშაშვილი (83. აშვეთია) კობიაშვილი, კანკავა - დემეტრაძე, კვირკველია (81. მუჯირი) - არველაძე

გაფრთხილება: გოგუა (24), დემეტრაძე (37), ეზერსკი (58), ხიზანიშვილი (88)

არბიტრი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი)

**საქართველო-იტალია**

**1:3**

11.10. 06. თბილისი. ეროვნული.
55 000 მაყურებელი

0:1 დე როსი (16), 1:1 შაშიაშვილი (26), 1:2 კამორანეზი (61), 1:3 პეროტა (71)

საქართველო: ლომაია - ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, შაშიაშვილი - მენთეშაშვილი, კანკავა, ცქიტიშვილი, (74. კანდელაკი) - მარცვალაძე (84. გიგიაძე), კვირკველია - აშვეთია (68. იაშვილი)

იტალია: ბუფონი - ოდო, ნესტა, კანავარო (73. მატერაცი), ძამბროტა - დე როსი, პირლო (61. მაური) - კამორანეზი (86. იაკინტა), პეროტა, დი ნატალე - ტონი

გაფრთხილება: კანკავა (17), შაშიაშვილი (30), ცქიტიშვილი (45), ძამბროტა (86)

გაძევება: კანკავა (60)

არბიტრი: მ. რაილი (ინგლისი)

## მაკლიში: ნეტავ, შაბათი შოთას დღე არ იყოს...

### შოტლანდიას ქვოში გამოაკლდა

ბრიტანულმა პრესამ გუშინაც არაერთი მასალა გამოაქვეყნა შოტლანდია-საქართველოს 24 მარტის დაპირისპირებაზე. სტატიებში, საქართველოს ნაკრების შეფასებისას, კვლავაც დიდი ადგილი უჭირავთ **შოთა არველაძესა** და **ზურაბ ხიზანიშვილს**. იმ ფეხბურთელებს, რომელთაც კარიერის ერთი ნაწილი სწორედ შოტლანდიაში გაატარეს. იქაურ მიმომხილველთა მასალებში რამდენიმე გამორჩეული წერილია, რომელიც ქართველი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული. საინტერესოა, "ტარტანების არმიის" (ასე უწოდებენ შოტლანდიის ნაკრებს) თავკაც **ალექს მაკლიშის** თანაშემწე **ენდი უოტსონის** ნააზრევი. სხვათა შორის, უოტსონი, რომელიც ჯერ კიდევ "რეინჯერსში" მუშაობისას იყო მაკლიშის მარჯვენა ხელი, მეტოქის დასაზვერად თბილისში, საქართველო-თურქეთის ამხანაგურ მატჩსაც დაესწრო.

*"დიახ, თბილისში გახლდით და თურქეთთან ქართველების, ეგრეთ წოდებულ ამხანაგურ მატჩს დავესწარი. "ეგრეთ წოდებული" იმიტომ, რომ ამ თამაშს ამხანაგურისა არაფერი ეტყობოდა, ძალზე დაძაბული იყო. თუ არ ვცდები, მატჩს 73 ათასი (ცდება, 55 ათასი - რედ) გულშემატკივარი ესწრებოდა. ქართველებმა 1:0 მოიგეს. მათ კიდევ არაერთი ბურთის გატანა შეეძლოთ, მაგრამ ასევე, შესაძლებელი იყო გაეშვათ კიდეც... საქართველოს ნაკრებს ლიდერები - შოთა არველაძე, კახა კალაძე და ლევან კობიაშვილი აკლდნენ, მაგრამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლაუს ტოპმიოლერის გუნდს გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს. ანუ, ამ ნაკრებს ძლიერ მეტოქესთან ლიდერების გარეშეც შეუძლია წარმატებული თამაში. ასე რომ, შაბათის მატჩში დიდი სიფრთხილე გვმართებს. თბილისიდან დაბრუნებისას, ალექს მაკლიშს სწორედ ეს ვუთხარი. ჩვენ შეგვიძლია საქართველოსთან მოგება და ცხრილში პირველი ადგილის შენარჩუნება, მაგრამ ეს იოლი არ იქნება. ბოლოსდაბოლოს, ქართველებს არველაძე ჰყავთ, რომელიც ძალიან ტექნიკური, სახიფათო და ყოველმხრივ სრულყოფილი ფორვარდია. მას ჯერ კიდევ "რეინჯერსიდან" ვიცნობ. შოთა "რეინჯერსის" განუყოფელი ნაწილი იყო. იმ პერიოდში ჩვენმა გუნდმა 7 ტიტული მოიგო და ამაში არველაძეს ლომის წვლილი მიუძღვის. ამასვე ვიტყოდი ზურაბ ხიზანიშვილზეც, რომელიც "რეინჯერსშიც" ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო და საქართველოს ნაკრებშიც საიმედოა,"* - აცხადებს "სპორტინგლაიფთან" საუბარში მისტერ უოტსონი.

**"არველაძის ფაქტორი, ჩვენთვის, შესაძლოა, მომაკვდინებელიც კი იყოს"** - ასეთი სათაური აქვს ერთ-ერთ სტატიას.

*"ორი აზრი არ არსებობს, მეტოქის მთავარი კოზირი შოთა არველაძეა, - ეს უკვე მაკლიშის კომენტარია, - ის ორივე ფეხით ჩინებულად ურტყამს და თანაც, ნებისმიერი პოზიციიდან. თუ არველაძეს თამაში წაუვიდა, მაშინ გულშემატკივართა მხარდაჭერა ორმაგად დაგვჭირდება... ერთი სიტყვით, მთავარია, შაბათს შოთას დღე არ იყოს... ასევე კარგად ვიცნობ ზურაბ ხიზანიშვილს, რომელიც საქართველოს ნაკრების ერთი-ერთი მონინავე ფიგურაა. შესაძლოა, შაბათის მატჩში მანაც მოინდომოს ძველ მწვრთნელთან ანგარიშის გასწორება (იცინის)... როცა ხიზანიშვილი "რეინჯერსში" ჩემთან ერთად იყო, დიდი კონკურენციის გამო, გაუჭირდა ძირითადში ადგილის შენარჩუნება. დღესაც მიმაჩნია, რომ ზურას წასვლა, იმ მომენტისთვის, სწორი გადაწყვეტილება იყო. თუმცა ქართველი მცველი "ბლექბერნში" იმდენად კარგად ათამაშდა, ახლა "რეინჯერსის" სასტარტოში თავისუფლად მოხვდებოდა".*

შოტლანდიის ნაკრების ფეხბურთელი **სკოტ სევერინი** კი საქართველოსთან დაპირისპირებას ფრანგებთან თამაშზე წინ აყენებს. ვნახოთ, რატომ ფიქრობს ასე:

*"ფრანგებთან მატჩში ფანები არ ელოდნენ, რომ გავიმარჯვებდით, ამიტომაც არ ვიყავით დაძაბულები. საქართველოსთან მატჩი კი იმითაა განსხვავებული და მნიშვნელოვანიც, რომ გულშემატკივრები ჩვენგან მხოლოდ 3 ქულას ითხოვენ და დარწმუნებულნიც არიან, რომ სანადელს მივაღწევთ. აი, აქ გვმართებს ყველაზე დიდი სიფრთხილე. მართალია, გამარჯვება შეგვიძლია, მაგრამ ეს იოლი ნამდვილად არ იქნება".*

**"ფავორიტ შოტლანდიას სიფრთხილე მართებს"** - ამ სათაურით აფრთხილებენ ბრიტანელი მიმომხილველები შოტლანდიის ნაკრებს. ამ მასალაშიც რამდენიმე საყურადღებო მომენტია:

*"შოთა არველაძის გარდა, საქართველოს ნაკრებს სხვა, არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელიც ჰყავს. ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან კობიაშვილი, კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი... მართალია, ეს ორი უკანასკნელი ამჟამად ტრავმირებულია, მაგრამ მეტოქეს გერმანიაში მოასპარეზე რამდენიმე კარგი ფეხბურთელი ჰყავს. ასე რომ, ქართველებს აქვთ იმის პოტენციალი, რომ გლაზგოში წარმატებას მიაღწიონ. ისინი ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთში უქულოდ არ დაბრუნდნენ... ბუნებრივია, არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რა ტაქტიკა-სტრატეგიას აირჩევს ალექს მაკლიში. მისი ტაქტიკური მარაგი ადრე გარკვეულ ეჭვებს ბადებდა. თუმცა მას მერე, არაერთი ვარიანტი მოსინჯა და ამჯერად, ვგონებთ, უკეთ უნდა იყოს საქმე. უპრიანი იქნება, თუკი მაკლიში უოლტერ სმიტის მიერ მრავალგზის აპრობირებულ 4-5-1-ს აირჩევს. ამ სქემაში ჯდება კრის ბოიდი, რომლისთვისაც ნახევარი შანსიც კი ჩინებული შესაძლებლობაა. ის უდავოდ პირველი ფორვარდია. ამასთან, შემტევ სქემაში კენი მილერის დავიწყებაც არ შეიძლება. ფლანგზე კრის ბერკის აქტიურობაც არაერთ პრობლემას შეუქმნის საქართველოს ნაკრებს... ერთი სიტყვით, ამ წყვილში ფავორიტი მაკლიშის გუნდია, მაგრამ ალექსის ბიჭები ფრთხილად უნდა იყვნენ".*

დაბოლოს. შოტლანდიის ნაკრების ნახევარმცველი **ნაიჯელ ქვოში**, რომელიც გასულ უქმეებზე, საჩემპიონატო მატჩში დაშავდა, აქამდე ნაკრებთან ერთად იყო ბაზაზე, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. მაკლიში მას უკვე გამოეთხოვა. ამას გარდა, შოტლანდიის ნაკრებს სამი წამყვანი მოთამაშე - **დარენ ფლეტჩერი, ჯეიმს მაკფადენი** და **სტივენ პრესლი** აკლია.

მოამზადა

როგორია თქვენი აზრი?

## ნემსაძემ საქართველოს კოზირები დაუთვალა

### ალმავლობის დროს, შოტლანდიელებს მეტოქის შეუფასებლობა ახასიათებთო...



გიორგი ნემსაძე

**გიორგი ნემსაძე შოტლანდიურ ფეხბურთს ახლოს იცნობს. "დანდიში" ოთხი წელი თამაშობდა, მისი კაპიტანიც გახლდათ და ამ ქვეყნის საფეხბურთო სამყაროში საკმაო ავტორიტეტიც მოიპოვა. ვფიქრობთ, საქართველოს ნაკრების ექსკაპიტნის თვალით დანახულ შოტლანდიურ ფეხბურთზე მსჯელობა ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს...**

**- შოტლანდიელთა დღევანდელი შემადგენლობიდან რომელიმე მოთამაშეს ახლოს თუ იცნობთ?**

- როგორ არ ვიცნობ? მაკფადენის წინაალმდეგ ბევრჯერ მითამაშია. მე რომ "დანდიში" ვიყავი, ის "მოზერველში" თამაშობდა. ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. პირადად მე, მის წინააღმდეგ თამაში იმიტომ მიხდებოდა, რომ ფლეიმეიქერია და მოედნის ცენტრში ხშირად გვიწევდა დაპირისპირება. ინგლისში მისი გადასვლა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

**- მაგრამ საქართველოსთან ის ვერ ითამაშებს...**

- ...და ძალიანაც კარგი, თუ ვერ ითამაშებს. ვიცი, რომ თამაშს ფლეტჩერიც გამოტოვებს და ეს კიდევ უკეთესი... შოტლანდიელებიდან ძალიან ახლოს ვიცნობ ბარი ფერგიუსონს. მოედანზე მაგარი აუტანელია, თორემ ცხოვრებაში ერთობ გულიანი ბიჭია. კაცური კაციაო, რომ იტყვიან, სწორედ ეგრეა.

**- საერთოდ, შოტლანდიის ნაკრებზე რას იტყოდით?**

- "დანდიდან" ოთხი წლის წინათ წამოვედი. ფეხბურთში ეს დრო საკმარისია საიმისოდ, რათა ესა თუ ის გუნდი საფუძვლიანად შეიცვალოს, მათ შორის, შოტლანდიაც. თუმცა მათთან ერთი რამ ყოველთვის უცვლელია, სათამაშო სტილს ვგულისხმობ...

**- მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე რას გვეტყვით?**

- პლუსებით დავიწყოთ. ბრძოლისუნარიანი გუნდია და თამაშს ყოველთვის აგრესიულად იწყებს. თუ დაინახეს, რომ შევშინდით, ბოლომდე გადაგვივლიან. თუმცა საკმაოდ თვალშისაცემია მათი მინუსებიც. მეტად სწორხაზოვან ფეხბურთს თამაშობენ, მათი ხუთი შეტევიდან, ოთხი ფლანგზე გრძელდება, მაგრამ ჩვენთვის ესეც საყურადღებო მომენტია. მაღალ ბურთებზე ბევრი ბრძოლა მოგვიწევს და ბიჭები ამისთვის მზად უნდა იყვნენ. თანაც, საკმაოდ არასტაბილური გუნდია. საფრანგეთს კი მოუგეს, მაგრამ უცებ ისეთ გუნდთან შეიძლება დაკარგონ ქულები, საქართველოს არ ვგულისხმობ, თმები ყალყზე დაგიდგება... მე ვფიქრობ, მათი მინუსი ზედმეტი ქედმაღლობაცაა. როცა ალმავლობის გზაზე არიან, კონკურენტებად მხოლოდ გრანდებს მიიჩნევენ და შეიძლება, შედარებით უსახელო ნაკრებთან მობილიზებით ვერ ითამაშონ. ახლა, სწორედ ამ გზაზე არიან და ალბათ, საქართველოსთან უეჭველ მოგებას გეგმავენ. აი, ეს ფაქტორი უნდა გამოვიყენოთ. შეიძლება, ეს ჩვენს კოზირად იქცეს.

**- რა უნდა დაუპირისპიროს ტოპმიოლერმა შოტლანდიას?**

- ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ უფრო ჭკვიანი მოთამაშეები გვყავს, სწორხაზოვან და დაშტამპულ ფეხბურთს არ ვთამაშობთ... მთავარია, ბრძოლა პირველივე წუთებიდან დავიწყოთ, ბიჭებს არ უნდა შეეშინდეთ. თუ ტოპმიოლერი ჭკვიანურ ტაქტიკას შეიმუშავებს, მოგებაც შეიძლება, ან მინიმუმ ქულის აღება მაინც.

**- მათ მთავარ მწვრთნელ ალექს მაკლიშს თუ იცნობთ?**

- კი, ვიცნობ. ცოტა ამაყია და ბევრჯერ მსმენია, რომ მეტოქის შეუფასებლობა სჩვევია. ადრე "ჰიბერნიანს" წვრთნიდა და იქიდან მიიყვანეს "რეინჯერსში"... მაღალი კატეგორიის მწვრთნელებში არ შედის და შოტლანდიის ნაკრებში მისი დანიშვნა გამიკვირდა კიდეც. თუმცა პიროვნულად პატივს ვცემენ.

**- თქვენ კარგად იცნობთ საქართველოს ნაკრებს, მის თითოეულ წევრს, ისევე, როგორც შოტლანდიელ მაყურებელს და გუნდს. ვითომ მათ ზეწოლას ვერ გავუძლებთ?**

- ბოლო დროს, ჩვენი ნაკრებიც ბრძოლისუნარიანი გახდა და ეს მაიმედებს. თუ ბიჭები მათ აგრესიასა და ფლანგებს გაანეიტრალებენ, და თან მეტოქეს ჭკუასაც დაუპირისპირებენ, მოგება შეგვიძლია.

**- სხვათა შორის, კენჭისყრის შემდეგ პირველი იყავით, ვინც თქვა, რომ საქართველოს შოტლანდიასთან გასვლაზე მოგების მეტი შანსი აქვსო...**

- დიახ, ვთქვი, რადგან ვიცი მათი არასტაბილური ხასიათის ამბავი და ხომ გითხარით, დღესაც ამ იმედით ვარ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

B ჯგუფი. ჩვენი მეტოქეები

ფარერები-უკრაინა

# კოვზი ნაცარში, შევჩენკო სკამზე

ბევრს კი ეცადნენ **ოლეგ ბლოხინი** და უკრაინული ფეხბურთის მამები, დღევანდელი მატჩი ზაფხულისთვის გადაეტანათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ამაზე მათ ვერც უეფა დაითანხმეს და ვერც ფრანგული მხარე. თუმცა შეხვედრის გადატანის პატარა ალბათობა მაინც არსებობს, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დღეს ტოფტირში ამინდი მკვეთრად გაუარესდება და მატჩის ინსპექტორი თამაშის ჩატარებას შეუძლებლად ჩათვლის. კუნძულელები ყველაფერს ცდილობენ საიმისოდ, რომ უკრაინელებს სწორედ დღეს შეებრძოლონ. ბლოხინი ღიად აცხადებს, რომ ატალახებული მოედანი მისი გუნდის გამარჯვების შანსს მკვეთრად ამცირებს. ცხადია, ეს ფარერელთა წისქვილზე ასხამს წყალს.

უამინდობის გარდა, უკრაინელებს ტრავმებიც უფუჭებთ ხასიათს. დიდია იმის ალბათობა, რომ დღეს **სერგეი რებროვმა, რუსლან როტანმა** ვერ ითამაშონ. რაც შეეხება **ანდრეი შევჩენკოს,** მისი საკითხი უკვე გარკვეულია - კაპიტანი მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს. როგორც ჩანს, ლიტვასთან (28 მარტი) უფრო რთული თამაშის წინ, ბლოხინმა რისკზე წასვლა არ ისურვა. წესით, შევამ ვილნიუსში უნდა ითამაშოს.


შევჩენკოს ფარერებზე არ უვარჯიშია

ასე რომ, ფარერებთან შეტევის მთელი ტვირთი **ანდრეი ვორონინს** დააწვება მხრებზე. ის ახლა შესანიშნავ ფორმაშია. ბოლო შეხვედრები მაღალ დონეზე ჩაატარა "შახტარიდან" "ზენიტში" 20 მილიონად გადასულმა **ანატოლი ტიმოშჩუკმაც**.

ფარერელთა დამრიგებელ **იოგვან მარტინ ოლსენს** შემადგენლობაში განსაკუთრებული ცვლილებები არ შეუტანია. მასპინძლები საბრძოლოდ არიან განწყობილნი და იმედოვნებენ, რომ მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, მათ ქულათა გრაფაში ნული აღარ ეწერება. ის და მისი შეგირდები ხვალ უკვე თბილისში იქნებიან.

საქართველო-ფარერები. 28 მარტი. 20:00

# ოთხი ფერი სხვადასხვა შესასვლელით

## ბილეთის ფასი 5, 10 და 20 ლარია




ფარერებთან მატჩის წინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური ბილეთების, სტადიონზე შესვლისა და გულშემატკივართა განთავსების მხრივ გარკვეულ ცვლილებებზე გვამცნობს. ბილეთები სხვადასხვა ღირებულებისაა. მათი ფასი 5, 10 და 20 ლარი იქნება სექტორებისა და ადგილების მიხედვით. ბილეთები გაიყიდება მხოლოდ ეროვნული სტადიონის სალაროებში 25, 26, 27 და 28 მარტს, 12-დან 17 საათამდე. ამასთან, ბილეთები ოთხი ფერისაა (წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი) და თითოეულისთვის ცალკე შესასვლელი იქნება გამოყოფილი.

**წითელი ფერის ბილეთები (სამხრეთი)**: ცაგაძის ქუჩისა და წერეთლის გამზირის კუთხე, 4 ჭიშკარი;

**ყვითელი (ჩრდილოეთი) და ლურჯი (დასავლეთი)**: საბურამოს ქუჩისა და წერეთლის გამზირის კუთხე, 5 ჭიშკარი.

**ლურჯი (დასავლეთი)**: ყიფიანისა და ცაგაძის ქუჩების კუთხე, 3 ჭიშკარი, ცაგაძის ქუჩიდან 4 ჭიშკარი;

**მწვანე (აღმოსავლეთი)**: წერეთლის გამზირი, 5 ჭიშკარი.

სტადიონის ყველა (21) ჭიშკარი თამაშამდე და მატჩის დამთავრებისთანავე გაიღება. შესასვლელებში იქნება საინფორმაციო ტრაფარეტები. სტადიონის ტერიტორიაზე განლაგდება ასევე საინფორმაციო პუნქტები. მატჩს მოემსახურება 60 უნიფორმიანი სტიუარდი. მათგან გულშემატკივარი ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას მიიღებს. ბილეთები კი ფასების მიხედვით ასე დაიყოფა:

**5 ლარი**: წითელი და ყვითელი ფერის ბილეთები (ორივე იარუსზე);

**10 ლარი**: სექტორები 5, 6, 11, 12 (დასავლეთი) და 20, 21, 22, 25, 26, 27 (აღმოსავლეთი);

**20 ლარი**: სექტორები 13, 14, 15, 16, 23, 24 (აღმოსავლეთი) და სექტორები 7, 9, 10 (დასავლეთი).

ბავშვები უბილეთოდ არ დაიშვებიან.

ლიტვა-საფრანგეთი

# ფრანგული ლაზარეთი და ლიტვური იმედი

**რაიმონ დომენეკს** საფიქრალი თავზესაყრელად აქვს. სანაკრებო მოღვაწეობის განმავლობაში, ფრანგთა დამრიგებელი ასეთ რთულ მდგომარეობაში არასდროს ყოფილა. სამფეროვნებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლიათ. უდავოა, რომ **ტიერი ანრის, პატრიკ ვიეირას, ფრანკ რიბერის, ლუი საასა** და **დავიდ ტრეზეგეს** სრულფასოვანი შეცვლა წარმოუდგენელია. როგორც ხედავთ, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს შუა და წინა ხაზებში აქვთ სერიოზული საკადრო პრობლემები, მეკარეები და მცველები ჯანმრთელად არიან.

დომენეკმა რამდენიმე ახალ ფეხბურთელს უხმო, ძირითადად ახალგაზრდებს. ესენი არიან 19 წლის **სამირ ნასრი** (მარსელი), 22 წლის **ლასანა დიარა** (ჩელსი), 19 წლის **ქარიმ ბენზემა** (ლიონი) და 20 წლის **აბუ დიაბი** (არსენალი). მათ გარდა, ეროვნულ გუნდში თავის გამოჩენის შანსი მიეცემა "მონაკოს" 28 წლის ფორვარდ **ფრედერიკ პიკიონსაც**, რომელმაც ყურებს არ დაუჯერა, როცა დომენეკისგან მიწვევის შესახებ ამცნეს.

*"ეს ნამდვილი სასწაულია, ნაკრების კანდიდატიც კი არასდროს ვყოფილვარ, ბედმა დიდი საჩუქარი გამიკეთა. არ ვიცი, მათამაშებენ თუ არა კაუნასში. ლიტვასთან თუ არა, ალბათ, ავსტრიასთან მაინც შევძლებ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას"* - ამბობს პიკიონი. ავსტრიელებს ფრანგები ოთხშაბათს, ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

რაც შეეხებათ ლიტველებს, ფაქტობრივად, მათი ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრშია. მთავარი მწვრთნელი **ალგიმანტას ლუბინსკასი** ფიქრობს, რომ ამ მატჩში ყველა შედეგია მოსალოდნელი. *"იტალიასთან გასვლით შეხვედრაში დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია ბრძოლა. სტატისტის როლში ყოფნას არც ფრანგებთან ვაპირებთ"* - აცხადებს ლუბინსკასი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# დიდხანს გელოდით...

## გაბონის ნაკრების ფორვარდი მახარაძესთან, ლეანდრო განაცხადში შეიყვანეს

ამ ზამთარს, "ზესტაფონმა" სინჯებზე გაბონის ნაკრების ფორვარდი **პოლ კესნი** მიიწვია. კლუბის ხელმძღვანელებთან მას საფრანგეთში მცხოვრებმა **გია გურულმა** (ფიფას აგენტი) გაუწია რეკომენდაცია. რაკი გაბონის ნაკრების მწვრთნელი ჩვენი ძველი ნაცნობი **ალენ ჟირესია**, წესით, ამ საქმეში მისი ხელიც უნდა ერიოს...

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, კესნი მხოლოდ ახლა ჩამოვიდა. გუშინ მას გავესაუბრეთ კიდეც. გაბონელმა გვითხრა, რომ თავისი ქვეყნის ნაკრებში დღემდე იწვევენ და 39 მატჩში 4 გოლი (ფორვარდისთვის კატასტროფული შედეგია) აქვს გატანილი. ბოლოს, გაბონური "სონსენგის" ღირსებას იცავდა.

**თემურ მახარაძის** თქმით, გუნდში კესნის ჩარიცხვა ჯერ არ არის გადაწყვეტილი. *"მართალია, საკმაოდ შთამბეჭდავი სტატისტიკით ჩამოვიდა და თან გაბონის ნაკრებიც არაა სუსტი გუნდი, მაგრამ ვარჯიშებიდან დასკვნების გამოტანა არ მინდა. სანაკრებო პაუზას გამოვიყენებთ, საკონტროლო შეხვედრებს ჩავატარებთ და კესნისაც ამ თამაშების დროს დავაკვირდებით"*.

მახარაძემ სიახლეც გვითხრა. ეს ეხება ბრაზილიელ თავდამსხმელ **ლეანდროს**, რომლის განაცხადში შეყვანა ძალიან გაიწელა. გუშინ, ეს ფორმალობაც მოგვარდა და ამიერიდან, ბრაზილიელს თამაში შეეძლება.

**მერაბ მამულაშვილი**


პოლ კესნი

## ჩვენი ჯგუფის ყველა მატჩი

| | |
|---|---|
| **16 აგვისტო. ოთხშაბათი** | |
| ფარერები-საქართველო | 0:6 |
| **2 სექტემბერი. შაბათი** | |
| საქართველო-საფრანგეთი | 0:3 |
| იტალია-ლიტვა | 1:1 |
| შოტლანდია-ფარერები | 6:0 |
| **6 სექტემბერი. ოთხშაბათი** | |
| უკრაინა-საქართველო | 3:2 |
| ლიტვა-შოტლანდია | 1:2 |
| საფრანგეთი-იტალია | 3:1 |
| **7 ოქტომბერი. შაბათი** | |
| იტალია-უკრაინა | 2:0 |
| შოტლანდია-საფრანგეთი | 1:0 |
| ფარერები-ლიტვა | 0:1 |
| **11 ოქტომბერი. ოთხშაბათი** | |
| საქართველო-იტალია | 1:3 |
| უკრაინა-შოტლანდია | 2:0 |
| საფრანგეთი-ფარერები | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 9 |
| 2. საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-2 | 9 |
| 3. იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 4. უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 5. ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 6. საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 9-9 | 3 |
| 7. ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 0-18 | 0 |

**უახლოესი ტურები**

**24 მარტი. შაბათი**

შოტლანდია-საქართველო
ლიტვა-საფრანგეთი
ფარერები-უკრაინა

**28 მარტი. ოთხშაბათი**

უკრაინა-ლიტვა
საქართველო-ფარერები
იტალია-შოტლანდია

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გასხენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# დემეტრაძის საქმეს გაგრძელება მოჰყვა

## რა კავშირშია შახტარი ქართველთან?



გიორგი დემეტრაძე

**გიორგი დემეტრაძე** უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასთან ბრძოლაში დამარცხდა. კიევის სასამართლომ დონეცკის "მეტალურგის" ფორვარდის საქმე სამხილების არარსებობის გამო დახურა. გიორგის მიუთითეს, რომ ლიმიტის მიუხედავად, მან თამაშების დიდი ნაწილი ჩაატარა (ერთი წუთი იქნება ეს თუ ოთხმოცდაათი), ამას კი უკრაინის კონსტიტუცია არ ითვალისწინებსო. მართალია, დემეტრაძე და მისი ადვოკატები ევროპის სასამართლოში აპირებენ საქმის გაგრძელებას, მაგრამ ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერის** კომენტარმა მათ ამის უფლება წაართვა: ფეხბურთელებმა მიმართეთ მხოლოდ ჟენევის სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოს და სამოქალაქოს თავი დაანებეთო...

"მეტალურგის" ვიცე-პრეზიდენტი კი, ამ საქმის ინიციატორი **დმიტრი სელიუკი**, უკრაინაში ველარ ჩადის. მას ემუქრებიან და ამიტომ, პროცესებს ევროპიდან ხელმძღვანელობს. ამასობაში კი, "დემეტრაძის საქმის" გამგრძელებლად "მეტალურგის" კიდევ ერთი მოთამაშე გვევლინება. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას 25 წლის სერბმა მეკარე **ვლადიმირ დიშლაკოვიჩმაც** შეუტია. საქმის განხილვა 27 მარტსაა დანიშნული. სერბის ადვოკატი **ვლადიმირ კოლომიეცი** დემეტრაძის ინტერესებსაც იცავდა. ის ამჯერადაც შეეცდება, დაამტკიცოს, რომ ლეგიონერებზე შემოღებულმა ლიმიტმა მათი უფლებები შეზღუდა და სერბი მეკარის შემთხვევაში, ეს უფრო ახლოსაა რეალობასთან, ვიდრე ქართველის. "ცრვენა ზვეზდის" შემადგენლობაში დიშლაკოვიჩი ორჯერ გახდა სერბეთისა და ჩერნოგორიის ჩემპიონი, უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატის 19 ტურში კი ერთხელაც არ უთამაშია.

"დემეტრაძის საქმის" ირიბ გაგრძელებად იქცა დონეცკის "შახტარისა" და უკრაინულ გაზეთი "კომანდას" შორის დაპირისპირება. საქმე ისაა, რომ "მეტალურგი" და "შახტარი", რეალურად, ერთი ხელით იმართება. ერთი ინიციატორი ჰყავს დემეტრაძის ბუნტსაც. ხოლო "კომანდა" კიევის "დინამო", ასე ვთქვათ, "მედიაფარმკლუბია". "შახტარისა" და "დინამოს" დაპირისპირებას კი დიდი ხნის ისტორია აქვს.

უკრაინული გრანდების ფარული ომი ქართველის სარჩელმა კიდევ უფრო გაამძაფრა. ამის შემდეგ, "კომანდამ" "შახტარის" წინააღმდეგ ნამდვილი ომი წამოიწყო და ერთმა ჟურნალისტმა **რინატ ახმეტოვის** კლუბს "უკრაინული ფეხბურთის ავი სულიც" უწოდა. მართალია, დემეტრაძე ახმეტოვთან საერთო კონტექსტში არაა ნახსენები, მაგრამ პირად საუბრებში ამას უკრაინელი ჟურნალისტები (მათ შორის, "კომანდადან") და ამ ქვეყანაში მოთამაშე ქართველი ლეგიონერები გვიდასტურებენ.

"შახტარის" მეპატრონეებმა საქმიდან იოლი გამოსავალი მონახეს: თავიანთი გუნდის თამაშებზე "კომანდას" ჟურნალისტებს აკრედიტაცია ჩამოართვეს, ხოლო ფეხბურთელებს მათთან ყოველგვარი კონტაქტი აუკრძალეს. უკრაინელები კი შიშობენ, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლის (ერთ-ერთი კანდიდატი უკრაინა-პოლონეთია) არჩევამდე ერთი თვით ადრე, ეს მოვლენები უკრაინისთვის სერიოზული ხელისშემშლელი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

19-წლამდელთა ნაკრები. უცხოური შეკრება

# თოვლი მოსულა, ვითამაშოთ დარბაზში

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები უცხოურ შეკრებას განაგრძობს. გერმანელ თანატოლებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი კობლენცშია დაბანაკებული და იქვე ემზადება. თუმცა გერმანიაში მოთოვა და ჭაბუკებმა დახურულ დარბაზში გადაინაცვლეს. მორიგი ამხანაგური თამაში მათ კვირას, 25 მარტს, ლუქსემბურგში ადგილობრივ "ვიქტორიასთან" აქვთ. ლუქსემბურგელთა განცხადებით, თუ ამინდი არ გამოკეთდა, ამხანაგური მატჩი დარბაზში, უმაღლესი ხარისხის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩატარდება. თამაში თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

სალეგიონო

# ფინკეს ერთგული ფრაიბურგელები

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ "ფრაიბურგის" ახალ მთავარ მწვრთნელად **რობინ დუტი** წარადგინეს. გადაწყვეტილია, რომ ზაფხულიდან გუნდს სწორედ ის გაწვრთნის, **ფოლკერ ფინკეს** კი ამ სეზონის ჩამთავრების საშუალებას მისცემენ.

ფინკეს გადაყენების გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მაშინ მიიღეს, როცა "ფრაიბურგს" რეგიონალლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებოდა. მას შემდეგ, ბრაისგაუელები შესანიშნავად ათამაშდნენ და სადღეისოდ, უკვე ბუნდესლიგაში დაბრუნების რეალური შანსი აქვთ. ამის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობას პოზიცია არ შეუცვლია.

ფინკე, კვლავინდებურად, ფეხბურთელთა შორის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. გასული ტურის მატჩისას "ფრაიბურგის" ფეხბურთელებს შიდა მაისურებზე გაკეთებული ჰქონდათ მწვრთნელის მხარდამჭერი წარწერები, რომელთა დემონსტრირებაც მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მოახდინეს. **ალექსანდრე იაშვილმა, ოთარ ხიზანეიშვილმა** და მათმა თანაგუნდელებმა კიდევ ერთხელ მოითხოვეს მთავარ მწვრთნელად ფინკეს დატოვება. სხვა საქმეა, გაითვალისწინებენ თუ არა კლუბის მესვეურები მათ სურვილს. ჯერჯერობით, მათ ამაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, მაგრამ დღესვე დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ "ფრაიბურგს" მომავალი სეზონიდან დუტი უთავკაცებს. ფინკემ კი, სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა, დირექტორატში რომელიმე მაღალი თანამდებობა დაიკავოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# გოგუა სატურნის იმედია

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა** რამენსკოეს "სატურნის" მოულოდნელ სიხარულად რომ იქცა, ეს რუსულ პრესაში დაბეჭდილი სხვადასხვა სტატიითა თუ ინტერვიუთიც მტკიცდება. ამაზე, განსაკუთრებული ხაზგასმაა მოთამაშეთა კომენტარებში. ანალოგიური რამ, უფრო ადრე, ლისაბონის "ბენფიკიდან" "სატურნში" გადასულმა **ანდრეი კარიაკამაც** დაადასტურა და გუნდის კაპიტანმა **ალექსეი ერიომენკომაც**. რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი და "სატურნის" ერთ-ერთი ლიდერი **ალექსეი იგონინი** კი უფრო შორს წავიდა:

*"სეზონის დაწყებამდე ჩვენ სამი მაღალი კლასის მოთამაშე, კარიაკა, კირიჩენკო და გოგუა დავიმატეთ. ჩემი აზრით, სამივე უდავოდ გააძლიერებს "სატურნს". თითოეულს მათგანს შეუძლია, კიდევ უფრო მოუმატოს და გუნდს მეტი ძალა შემატოს. "სატურნს" პრემიერლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარდაცვა ჰყავს, ამას კი კარიაკასა და გოგუას გადმოსვლამ შეუწყო ხელი".*

**მერაბ მამულაშვილი**

## ოცეული ხუთად გაიყო

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბის მიერ ორგანიზებული ტურნირი მინი-ფეხბურთში ხუთშაბათს, 29 მარტს დაიწყება. გუშინ შედგა ტურნირის წილისყრა, რომელმაც 20 მონაწილე გუნდი 5 ჯგუფში შემდეგნაირად გადაანაწილა:

A ჯგუფი: **ვესტი, თელიანი ველი, სოლოლაკი, ქავთარაძე;**
B ჯგუფი: **GF FANS, პლატო, ირაო, ბოცვაძე;**
C ჯგუფი: **რაზმაძე, ყოჩები, აბანოთუბანი, ფანკლუბი;**
D ჯგუფი: **ვაკე, ვაკის პარკი, სპორტ-კლუბი, საბურთალო;**
E ჯგუფი: **ვიცე-ჩემპიონი, ელფი, ქუქა, მსოფლიო მედიცინა.**

ტურნირში გამარჯვებული გუნდი (მთელი შემადგენლობით), 2 ივნისს, უფასოდ დაესწრება ლიტვა-საქართველოს მატჩს.

## მოქანდაკე პრინცესა საქართველოს ფანია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის პრინცესა **გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი** საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბის წევრი გახდა. ფანკლუბის ხელმძღვანელმა **გიორგი ხაჩიძემ** მას პირადად გადასცა პლატინის ბარათი. ქალბატონი გაბრიელა, რომელიც პროფესიით მოქანდაკეა და სხვადასხვა საქველმოქმედო მისიით ხშირად სტუმრობს საქართველოს, ჰაბსბურგების დინასტიის პირდაპირი შთამომავალია. გაბრიელა ფონ ჰაბსბურგი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარიც გახლავთ. მის მეგობრებს შორისაა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა **ფრანც ბეკენბაუერი**. ავსტრია-უნგრეთის პრინცესა, რომლის ქანდაკებებიც მსოფლიოს არაერთ ქალაქს ამშვენებს, ნაკრების ფანკლუბის საქმიანობით მოხიბლულა და, როგორც ფეხბურთსა და საქართველოზე შეყვარებულმა, დაუფიქრებლად გამოთქვა ფანკლუბში გაწევრიანების სურვილი.

# კვირკველია უკრაინული ევროსეზონის სიმბოლურშია

## როგორ აირჩიეს ქართველი მეტალურგის კაპიტნად?

როგორც იცით, კიევის "არსენალთან" მატჩში **დავით კვირკველია** ზაპოროჟიეს "მეტალურგს" მოედანზე კაპიტნის სამკლაურით გაუძღვა. მანამდე, ის ვიცე-კაპიტანიც არ ყოფილა და ბუნებრივია, საინტერესოა, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი "მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი იაშჩენკომ**. ზაპოროჟიელთა ნახევარმცველ **ალექსეი გოდინს** უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" სწორედ ამ გადაწყვეტილებაზე ჰკითხა:

*"საკმაოდ მოულოდნელი ვითარება შეიქმნა. სამწვრთნელო შტაბმა კაპიტნობა გუნდის ერთ-ერთ ლიდერ დავით კვირკველიას მიანდო. მან კი მომენტის სირთულე მშვენივრად გააცნობიერა და საუცხოო შეხვედრა ჩაატარა. საქმე ისიცაა, რომ მწვრთნელმა "მეტალურგის" კაპიტანი ანდრეი გლუშჩენკო, აგრეთვე ვიცე-კაპიტნები - დმიტრი მიხაილენკო და რუსლან ლუბარსკი, რატომღაც, სათადარიგოებში გადაისროლა".*

ძნელი სათქმელია, კვირკველია დროებითი კაპიტანია, თუ "დასჯილ" მოთამაშეთა ძირითადში დაბრუნების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილას დადგება. საგულისხმოა, რომ მანამდე, იგივე "სპორტ-ექსპრესი" იუწყებოდა - კვირკველია გუნდის ახალი კაპიტანიაო.

სხვათა შორის, ზაპოროჟიელთა ქართველი კაპიტანი XIX ტურის შემდეგ გუნდის ბომბარდირიც გახდა, სიმბოლურ ნაკრებში კი ორმა უკრაინულმა გამოცემამ დაასახელა. "სპორტ-ექსპრესზე" უკვე ვიუწყებოდით, ამას გარდა, კვირკველია საუკეთესოებში ინტერნეტ-გაზეთმა "უა-ფუტბოლმაც" დაასახელა. მან სიმბოლურში არ შეიყვანა "კრივბასის" კაპიტანი **ვასილ გიგიაძე**, რომელიც "სპორტ-ექსპრესმა", თავის მხრივ, საამისოდ შესაფერისად მიიჩნია. კრივოიროგელი ფეხბურთელები აღიარებდნენ, რომ ოდესაში, "ჩერნომორეცთან" სენსაციურ გამარჯვებაში, ქართველმა კაპიტანმა, პირველ რიგში მისმა გოლმა, უდიდესი როლი შეასრულა.

კვირკველია უფრო პრესტიჟულ სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" 2006/07 წლების სეზონში ევროთასებზე მოასპარეზე კლუბებიდან საუკეთესო 11 ფეხბურთელი შეარჩია და ჩვენდა გასახარად, კვირკველია ამ სოლიდურ კომპანიაშიც მოხვდა. მის გვერდით არიან კარგად ცნობილი ფიგურები - ბრაზილიელი ნახევარმცველი **მათუსალემი**, ხორვატი **დარიო სრნა**, რუმინელი **კიპრიან მარიკა** და ასე შემდეგ...

**მერაბ მამულაშვილი**

## თარიღი

**24 მარტი, 1931 - დაიბადა ზაურ კალოევი.** ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშოდა თბილისის "სპარტაკსა" (1950-51) და "დინამოში" (1952-56, 1959-64), მოსკოვის "ლოკომოტივში" (1957-58). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 249 მატჩი (116 გოლი). სსრკ ჩემპიონატის მეორე (1953) და ორგზის მესამე (1959, 62) პრიზიორი, თასის მფლობელი (1957) და ფინალისტი (1960), სსრკ ჩემპიონატების ორგზის საუკეთესო ბომბარდირი (1959, 1960), გრიგორი ფედოტოვის სახელობის "ასიანთა კლუბის" წევრი (139 გოლი). იყო ცხინვალის "სპარტაკის" (1957-67), ჭიათურის "მაღაროელის" (1968-70), თბილისის ასკ-ის (1973-75, 1980-83) და მცხეთის "არმაზის" (1986-88, 1991) მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით თბილისის ასკ-ის გუნდმა სამჯერ (1973, 1974, 1981) მოიპოვა სსრკ შეიარაღებული ძალების თასი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 1997 წელს.

**24 მარტი, 1953 - დაიბადა ოთარ გაბელია.** ფეხბურთი, მეკარე. თამაშობდა ზუგდიდის "დინამოში" (1970-71), სოხუმის "დინამოში" (1972-73), ქუთაისის "ტორპედოში" (1974-76, 1983) და თბილისის "დინამოში" (1977-82, 1985-89). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 1, სსრკ უმაღლეს ლიგაში - 300 მატჩი. ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1981). სსრკ ჩემპიონატების მეორე (1977) და მესამე (1981) პრიზიორი. სსრკ თასის მფლობელი 1979) და ფინალისტი (1980). სსრკ წლის საუკეთესო მეკარე (1979). იყო ზუგდიდის "ოდიშის" (1990-92), გურჯაანის "ალაზნის" (1992-93), ყვარლის "დურუჯის" (1993-95), მარნეულის "ალგეთის" (1995-96), თბილისის თსუ-ის (1997-99), თბილისის "მერანი 91"-ის (2001-02), ოლნისის "სიონისა" (2003) და ქუთაისის "ტორპედოს" (2004-05) მთავარი მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯთა კორპუსი დაბადებიდან 50 წლის იუბილეს ულოცავს ვეტერან მსაჯს ავთანდილ შალამბერიძეს.

მწვანე სამყარო
GREEN WORLD
გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები
ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად
მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი შესარჩევი მატჩები. ჩეხეთი VS გერმანია

# ვარჯიშზე კოლერი ბირჰოფი იყო

## გერმანელებს მთელი აქცენტი აყლაყუდა იანზე აქვთ გადატანილი

ჩეხეთისა და გერმანიის ნაკრები გუნდების დაპირისპირებისას, პირველ რიგში, ყველას 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი ახსენდება, რომელიც ბუნდესგუნდმა **ოლივერ ბირჰოფის** ოქროს გოლით, 2:1 მოიგო. ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ გერმანია ჩეხეთს ოთხჯერ დაუპირისპირდა და აქედან სამი თამაში მოუგო (1 მარცხი). დღეს ეს გუნდები ერთმანეთს მეხუთედ ხვდებიან. გუშინდელ ნომერშიც გაცნობეთ, რომ გერმანელები ძალიან თავდაჯერებულები არიან და ღიად აცხადებენ, რომ პრაღაში მხოლოდ და მხოლოდ 3 ქულისთვის ჩავიდნენ. ერთადერთი კაცი, ვისაც ალემანები უფრთხიან, **იან კოლერია**.

როგორ უნდა შეაჩერონ **კრისტოფ მეტცელდერმა** და **პერ მერტეზაკერმა** 2.02 მეტრი სიმაღლის ფორვარდი, რომელსაც ჩეხეთის ნაკრებში ჩატარებულ 75 შეხვედრაში 48 გოლი აქვს გატანილი? ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ასეთი რამ მოიფიქრა: გუშინ მან მცველები და თავდამსხმელები ერთმანეთის წინააღმდეგ ათამაშა და რაც ყველაზე საინტერესოა, ფორვარდებში ბუნდესგუნდის მენეჯერი, გერმანიის ნაკრების ექსგოლეადორი ბირჰოფიც ერია. საქმე ის გახლავთ, რომ ლიოვმა ბირჰოფს კოლერობა დაავალა. ჩვენი გერმანელი კოლეგები გვამცნობენ, რომ 38 წლის ოლივერმა აყლაყუდა ჩეხის დუბლიორობას თავი შესანიშნავად გაართვა.

*"ეს იდეა იოგის მოუვიდა და მეც სიამოვნებით დავთანხმდი. ასეთი რამ ადრეც გამიკეთებია, მაგალითად, ტიერი ანრის (!) დუბლიორიც ვყოფილვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მაშინ მწვრთნელები ჩემით უკმაყოფილოები დარჩნენ, რადგან ფრანგი თავდამსხმელი კარგად ვერ განვასახიერე,"* - ამბობს ბირჰოფი. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნდესნაკრების ვარჯიში დახურული იყო. ამრიგად, ჩეხ ჟურნალისტებს კოლერის დუბლიორის თამაშის ნახვა აეკრძალათ.

კოლერი და ბირჰოფი - რამდენად ჰგვანან ისინი ერთმანეთს? სიმაღლეში დიდი განსხვავება არაა: ბირჰოფი 1.91 მეტრია, იანი კი 2.02. ჩეხი 100 კილოგრამს იწონის, გერმანელი 86-ს კილოგრამს. სამაგიეროდ, თამაშის სტილით ისინი გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს - ტექნიკა არც ბირჰოფს უვარგოდა და არც კოლერია ფინტების ოსტატი, ორივე საჯარიმოს ფორვარდი გახლავთ და ისევე როგორც ოლივერი, იანიც შესანიშნავად თამაშობს თავით. რა მოუტანა ამ ყველაფერმა ბუნდესგუნდს? ბირჰოფი: *"ძალიან ბევრი რამ. ვიდეოანალიზის დროს ჩატარებული თეორიული მეცადინეობის შემდეგ, ბიჭებმა პრაქტიკის დროს უფრო კარგად გაითავისეს კოლერის ძლიერი მხარეები."*

აქვე რამდენიმე ფაქტი ბუნდესგუნდის შესახებ: დღევანდელი მატჩი გერმანიის ნაკრების ისტორიაში რიგით 788-ე შეხვედრაა (448 მოგება, 162 ფრე, 177 წაგება. ბურთების შეფარდება: 1754-957). ბუნდესგუნდის რიგებში დღემდე 848 სხვადასხვა ფეხბურთელს უთამაშია. ჩეხეთის ნაკრებთან გერმანელებს ასეთი ბალანსი აქვთ: 3 მოგება, არცერთი ფრე, 1 მარცხი, ჩეხოსლოვაკიასთან კი - 10 მოგება, 4 ფრე და 3 მარცხი. მას მერე, რაც გერმანიის ნაკრებს იოახიმ ლიოვი წვრთნის, ალემანებმა 7 თამაში ჩაატარეს (6 მოგება, 1 ფრე. ბურთების შეფარდება: 27-3). ბუნდესგუნდის აქტუალურ შემადგენლობაში ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი **მიხაელ ბალაკია** (76 მატჩი ნაკრებში). ბალაკს **ბერნდ შნაიდერი** მოსდევს (75), მესამე ადგილზე კი **ტორსტენ ფრინგსია** (65). სხვათა შორის, ბალაკს გერმანიის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირებში 2 გოლი აკლია და მე-7 პოზიციაზე მყოფ ბირჰოფს წამოეწევა, რომელსაც ბუნდესგუნდის მაისურით 37 გოლი აქვს გატანილი.



გუშინ ბირჰოფი ლიოვის მეტოქე იყო

### სავარაუდო შემადგენლობები

**ჩეხეთი**: პ. ჩეხი, გრიგერა, უიფალუში, როზენალი, იანკულოვსკი, გალაშეკი, პლასილი, პოლაკი, როსიცკი, ბაროში, კოლერი.

**გერმანია**: ლემანი, ლამი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, იანსენი (ან კასტრო), ფრინგსი, ბალაკი, შნაიდერი, შვაინშტაიგერი, კურანი, პოდოლსკი.

**მსაჯი**: რობერტო როზეტი (იტალია).

**გოტფრიდ ლენცი**



ჯონ ტერისა და ინგლისის ნაკრების სტუმრობამ ისრაელში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია

ისრაელი VS ინგლისი

# დაასრულებს მაკლარენი უიღბლო სერიას?

## ებრაელები უიმედოდ, მაგრამ შემართებით არიან

მასპინძელი მიმომხილველები ინგლისთან თამაშს შიშით ელიან. გაზეთები პესიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ, ჩვენებს წარმატების მიზერული შანსი აქვთო, მაგრამ სტადიონზე მაინც სრული ანშლაგი იქნება. ებრაელთა თავკაცი **დრორ კაშტანი** ამბობს: *"ინგლისი ინგლისია. ისინი ყველაზე ათლეტურ ფეხბურთს თამაშობენ. თუ სასურველი შედეგის მიღწევა გვინდა, შესაძლებლობების 150 პროცენტის წარმოჩენა მოგვიწევს."*

გუნდებს ოფიციალური მატჩი არასოდეს გაუმართავთ. ორადორი ამხანაგური შეხვედრა შორეული 1980-იანი წლებით თარიღდება. ორივე მატჩი "რამათ განის" სტადიონზე შედგა - 1986 წელს ბრიტანელებმა 2:1 მოიგეს, ხოლო 1988 წელს 0:0 დაფიქსირდა.

კაშტანი გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაზავს გამოიყვანს. მწყობრშია მასპინძლების ლიდერი **იოსი ბენაიუნი,** რომელიც "ვესტ ჰემში" თამაშობს. სავარაუდოდ, ძირითადში ვიხილავთ ებრაული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს, ჩელსელ **ბენ საჰარს**. კიდევ ერთი იმედისმომცემი ახალგაზრდა, ნიგერიაში დაბადებული **ტოტო თამუზი** კი თადარიგში იქნება. კარს გამოცდილი **დუდუ ავათი** დაიცავს. დაცვას ბოლტონელი **ტალ ბენ ჰაიმი** გაუძღვება. საყრდენ ნახევარმცველად ითამაშებს ნომინალური მცველი **არიკ ბენადო**. ის 91-ედ მოირგებს ნაკრების მაისურას და აბსოლუტური რეკორდსმენი გახდება.

ისრაელი-ინგლისი იმ დონის თამაშია, როგორიც ამ ქვეყანას თითქმის ნახევარი საუკუნეა, არ ახსოვს. სამართალდამცველები ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდნენ. 44-ათასიან ეროვნულ სტადიონზე 5 ათას ადგილს სტუმარი გულშემატკივრები შეავსებენ.

ინგლისი ცუდ ფორმაშია. გუნდმა ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია (ორი წაგება, ორი ფრე) გამოაცხო. სტუმრებს მძიმე ტრავმისაგან განკურნებული **ოუენ ჰარგრივსი** უბრუნდებათ. **სტივ მაკლარენმა** ლიდერებისაგან თავდადება მოითხოვა. ვარსკვლავები მწყობრში არიან. **ფრენკ ლემპარდი, სტივ ჯერარდი** და **უეინ რუნი** სრული დატვირთვით ემზადებიან. ძირითადში თამაშს უწინასწარმეტყველებენ 19 წლის **აარონ ლენონს**. ეს მისთვის პირველი სრულფასოვანი კეპი იქნება.

თავდასხმაში, რუნის პარტნიორი ნაკრებში გამოუცდელი **ენდი ჯონსონი** იქნება. შესუსტებული წინა ხაზის მიუხედავად, სტუმართა უსუსტეს წერტილად დაცვა ითვლება. სამი წამყვანი მცველი დაშავებულია. მეოთხე, **მიკა რიჩარდსი,** ფეხს იტკიებს და შეიძლება, ვერ ითამაშოს. მაკლარენს ექსპერიმენტის ჩატარება მოუწევს - მარცხნივ **ჯეიმი კარაგერი,** მარჯვნივ **ფილ ნევილი**. თუ ფილი მინდორზე გავა, მისი და **გარი ნევილის** სანაკრებო კეპების ჯამი 141-ს მიაღწევს - ზუსტად იმდენს, რამდენიც 1970-იან წლებში ლეგენდარულმა **ბობი** და **ჯეკ ჩარლტონებმა** დააგროვეს.

შესარჩევ ჯგუფს ხორვატია ლიდერობს. მეორე ადგილზე რუსეთია. ინგლისი მესამეზე მიჩანჩალებს, თანაც ამ ადგილს ისრაელს უყოფს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ისრაელი**: ავათი, ზივი, ბენ ჰაიმი, გერშონი, შპუნგინი, ბენადო, ალბერმანი, ბადირი, ბენაიუნი, ტოემა, ბარდა, საჰარი.

**ინგლისი**: რობინსონი, ფ.ნევილი (ან რიჩარდსი), ტერი, ფერდინანდი, კარაგერი, ჯერარდი, ჰარგრივსი, ლემპარდი, ლენონი, ენდი ჯონსონი, რუნი.

**მსაჯი**: ტომ ოვრებო (ნორვეგია)

ჰოლანდია VS რუმინეთი

# დაუმარცხებელთა დუელი როტერდამში

## მასპინძლებს შესაშური სტატისტიკა აქვთ

მეტოქეები დაუმარცხებელნი არიან. როტერდამული მატჩი G ჯგუფის ცხრილში ბევრს რამეს მოჰფენს ნათელს. ფავორიტად მასპინძლები მიიჩნევიან. სტატისტიკა მათ სასარგებლოდ მეტყველებს. ჰოლანდია-რუმინეთის რვა შეხვედრიდან ექვსი ჰოლანდიელებმა მოიგეს, ხოლო ორი ფრედ დასრულდა. "ნარინჯისფრებმა" მეტოქეს შარშანდელი მუნდიალის შესარჩევშიც სძლიეს - 2:0 შინ და სტუმრად.

**მარკო ვან ბასტენს** თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავს. მას ძირითადის ორი ფეხბურთელი აკლია - **ედვინ ვან დერ სარი** და **რობინ ვან პერსი**. ვან დერ სარს აიაქსელი **მაარტენ სტეკელენბურგი** შეცვლის. ედვინი სამკურნალოდ ინგლისში დარჩა, თუმცა გუნდს, შეიძლება, სლოვენიასთან ოთხშაბათის მატჩისათვის შეუერთდეს. მასპინძელთა თავდასხმას **კლაას იან ჰუნტელაარი** გაუძღვება. **დირკ კუიტს** მარჯვენა ფლანგზე გაამწესებენ. **არიენ რობენი** მუხლს იტკიებს. ამიტომ მარცხნივ, შეიძლება, **რაიან ბაბელი** ვიხილოთ. საყრდენად ალკმაარელი **დემი დე ზეეუვი** ითამაშებს. ნახევარდაცვის ცენტრში დარჩენილ სამ ადგილს **რაფაელ ვან დერ ვაარტი, ვესლი სნეიდერი** და **კლარენს ზეედორფი** გაიყოფენ.

რუმინელებს დაცვაში პრობლემები აქვთ. დაშავებულია **კრისტიან კივუ**. **გაბრიელ ტამაშის** თამაში საეჭვოა. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული თავდამსხმელებზე. რუმინეთს ჰოლანდიასთან გოლების გატანაც კი უჭირს. მათი ბოლო ბურთი 2000 წლის მაისით თარიღდება (**ვიორელ მოლდოვანი**, 1:2). ჰოლანდია ჯგუფის ლიდერია. სტუმრებს მესამე ადგილი უკავიათ, მაგრამ ერთი თამაში თადარიგში აქვთ. ბოლო ტურში, **ვიქტორ პიცურკას** კოლექტივმა შინ, ბულგარეთის დამარცხება ვერ შეძლო.



კლაას იან ჰუნტელაარი

### სავარაუდო შემადგენლობები

**ჰოლანდია**: სტეკელენბურგი, იალიენსი, ბუმა, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, სნეიდერი, დე ზეეუვი, ზეედორფი, ვან დერ ვაარტი, ჰუნტელაარი, ბაბელი (ან რობენი).

**რუმინეთი**: კომანი (ან ლობონტი), კონტრა, გოიანი, ტამაში (ან ბადოი), რატი, კოდრეა, რადოი, კოშიჩი (ან ციკუ), როსუ, მარიკა, მუტუ.

**მსაჯი**: მარკუს მერკი (გერმანია)

საბერძნეთი VS თურქეთი

# არავითარი პოლიტიკა, მხოლოდ ფეხბურთი

არავითარი პოლიტიკა: **ოტო რეჰაგელი** და **ფათიჰ თერიმი** შეგირდებისაგან მხოლოდ ფეხბურთზე კონცენტრაციასა და გამარჯვებას ითხოვენ. მეტოქეებს სამ მატჩში ქულათა მაქსიმუმი აქვთ. შესაშურია მათი ბურთების ბალანსიც - საბერძნეთს 8:0, ხოლო თურქეთს 6:0. ოთხშაბათს ბერძნები მალტას ეთამაშებიან, თურქეთი კი ნორვეგიას, რომელიც მესამე ადგილზეა.

საბერძნეთი დაცვის ცენტრში **ტაიანოს დელასისა** და **მიხალის კაპსისის** დუეტს დააყენებს - პირველად ტრავმებით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ. რეჰაგელის განკარგულებაშია ექვსი თავდამსხმელი, მათ შორის, **ანგელოს ხარისტეასი**, რომელმაც ბარძაყის კუნთი მოიშუშა.

თერიმს რამდენიმე პრობლემა აქვს. სამი დღის წინანდელ ვარჯიშზე "ბეშიქთაშის" მცველი, **იბრაჰიმ თორომანი** დაშავდა. მის ადგილს გალათასარაელი **ემრე ასიქი** დაიკავებს. ტრავმები აქვთ **ნური შაჰინსა** და **არდა თურანს**. ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა "ზენიტის" თავდამსხმელი **ფათიჰ თექე**, რომელიც ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. თურქების კარს **ვოლქან დემირელი** დაიცავს. ის ცუდ ფორმაშია, რის გამოც "ფენერის" ძირითადში ვერ ხვდება.

### სავარაუდო შემადგენლობები

**საბერძნეთი**: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, დელასი, კირიაკოსი, ფისასი, კაცურანისი, ბასინასი, კარაგუნისი, იანაკოპულოსი, გეკასი, სამარასი.

**თურქეთი**: ვოლქანი, ემრე ასიქი, იბრაჰიმ უზულმეზი, გოხანი, სერვეთი, მეჰმეთი, გიოქდენიზი, თუმერი, თუგაი, თუნჯაი, ჰაქან შუქური.

**მსაჯი**: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

ინტერვიუ ემილიო ბუტრაგენიოსთან

# ჩვენ ელკიაერი შევაჩერეთ

## ლეგენდარული ესპანელი ფორვარდი დარწმუნებულია, რომ სელექსიონი დანიის ნაკრებს დღესაც დაამარცხებს

**1986 წლის 18 ივნისის შემდეგ თითქმის 21 წელი გავიდა. ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, რომ მექსიკის მუნდიალზე ესპანეთის ნაკრებმა დანიის ეროვნული გუნდი 5:1 გაანადგურა. იმ შეხვედრის გმირად ემილიო ბუტრაგენიო იქცა. მრავალი წლის შემდეგ ამ გუნდების გზა კვლავ გადაიკვეთა. "დიარიო ასის" კორესპონდენტებმა ტომას რონსერომ, პედრო პაბლო სან მარტინმა და ხოსე ანტონიო ესპინამ ჩათვალეს, რომ "ელ ბიუტრესთან" ინტერვიუს მომზადება "სელექსიონის" გადამწყვეტი ორთაბრძოლის წინ საზოგადოებისთვის ფრიად საინტერესო იქნებოდა. "რეალის" ლეგენდარული ფეხბურთელი მადრიდელი ჟურნალისტების შეთავაზებას მყისვე დათანხმდა. ინტერვიუ ძალიან ვრცელი გამოვიდა. ბუნებრივია, მას მთლიანად ვერ შემოგთავაზებთ, ამიტომ თქვენს სამსჯავროზე მხოლოდ ყველაზე საინტერესო დეტალებს გამოვიტანთ.**

**- რა სიმბოლურია, ხელში დანიის ნაკრებთან მატჩში გადაღებული ფოტო გიჭირავთ...**

- გულწრფელად გეტყვით, რომ ეს ჩემი უსაყვარლესი სურათია. მაშინ საოცარი მატჩი ჩავატარეთ. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა მართლაც ფანტასტიკურად ვიასპარეზეთ და ხუთი გოლი შევაგდეთ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ამ ფოტოს განსაკუთრებით ვაფასებ და ვუფრთხილდები.

**- 20 წლის შემდეგ დანიელებს კიდევ ერთხელ გადავეყარეთ. დარწმუნებული ვარ, გასული დღეების განმავლობაში უამრავი ჟურნალისტის კითხვაზე მოგიწევდათ პასუხის გაცემა. ესპანურ პრესაზე აღარაფერს ვამბობ, თქვენ უცხოელი კორესპონდენტებიც კი გაგესაუბრნენ. იტალიურ, გერმანულ და ფრანგულ გაზეთებში მოკლე ინტერვიუები გამოქვეყნდა.**

- დიახ, ეს დღეებია ჟურნალისტებთან საუბრის მეტს არაფერს ვაკეთებ (იცინის). მეკითხებიან და მეც დაუზარელად ვიხსენებ წარსულს.

**- საინტერესოა, ჟურნალისტები იმ ლეგენდარული თამაშის წინაც არ "გასვენებდნენ"?**

- სხვათა შორის, მაშინ უცნაური წესი იყო. ფეხბურთელებს მწვრთნელები უფლებას აძლევდნენ, ინტერვიუები უშუალოდ თამაშის დღეს, მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრეც კი მიეცათ. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ მე სულაც პრესკონფერენცია გავმართე. კარგად მახსოვს, ერთ-ერთმა უცხოელმა კორესპონდენტმა მკითხა, რას ფიქრობთ დღევანდელ დაპირისპირებაზეო. ვუთხარი, გული მიგრძნობს, ესპანეთისთვის ყველაფერი კარგად დამთავრდება-მეთქი. ამ დროს კი სხვა უცხოელმა ჟურნალისტმა მომაძახა, რისი იმედი გაქვს, ამ სალამოს სამ გოლს მოგართმევენო. ძალიან გავბრაზდი, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავცოფდი, მაგრამ მივხვდი, რომ ის ჟურნალისტი დანიელი იყო და ჩემი პროვოცირება სურდა. ამიტომ სრულიად მშვიდად ვუპასუხე, ვნახოთ, ვნახოთ-მეთქი. ძალიან მინდოდა, ის კაცი თამაშის შემდეგაც მენახა. პრესისთვის გამოყოფილ ზონაში სპეციალურად დიდ ხანს დავრჩი, მაგრამ სამწუხაროდ თვალი ველარ მოვკარი. უბრალოდ, მსურდა, მისთვის თვალი ჩამეკრა და ირონიული ღიმილით დამესაჯა.

**- მაშინ იესპერ ოლსენს ტყავი გააძვრეთ. იცით, რომ დანიაში დღესაც თუ რომელიმე ბავშვი ან თუნდაც პროფესიონალი ფეხბურთელი ცუდად ითამაშებს დაკნინების მიზნით იესპერ ოლსენს უწოდებენ?**

- არ ვიცოდი. ჩემი აზრით, ეს სასტიკი უსამართლობაა, რადგან იესპერ ოლსენი დიდი ფეხბურთელი იყო. უბრალოდ, ერთ დღეს ძალიან არ გაუმართლა. უწინ მეკარისთვის ბურთის დაბრუნება ჯარიმით არ ისჯებოდა. საბრალო ოლსენი შეცდა და ამას, ალბათ, დღემდე ნანობს. არადა, შეუმცდარი აბსოლუტურად არავინაა. შესვენების მიჯნაზე დანიელისგან შესანიშნავი საჩუქარი მივიღე. მოვახერხე და მეკარეს ბურთი ფეხებს შორის გავუძვრინე. არ დაგიმალავთ, უზომოდ ბედნიერად ვგრძნობდი თავს.

**- როგორ ფიქრობთ, მაშინ უბრალოდ გაგიმართლათ, თუ საჭირო მომენტში საჭირო ადგილზე იყავით?**

- მცირე ხნით ადრე მიჩელს ველაპარაკებოდი. ხანმოკლე კამათი გვქონდა. მე ვეუბნებოდი, დააკვირდი ჩემს მოძრაობებს და განჭვრიტე, რას მოვიმოქმედებ-მეთქი. ის კი მთელი ხმით ღრიალებდა, ამ ერთჯერ ფეხებზე დაიკიდე ყველა მოვალეობა, დაივიწყე მწვრთნელიც და თუნდაც მთელი ესპანეთიც. კარგ საჩუქარს გაგიკეთებ, ოღონდ ახლა წინ წადი და უკან ჩამოსვლაზე წამითაც არ იფიქროო. მართალია, თავდასხმაში თამაში ყველაფერს მერჩივნა, მაგრამ ხშირად შავი სამუშაოს შესრულებაც მიწევდა. ნახევარდაცვას რომ არ დახმარებოდი, გუნდში ვინ გაგაჩერებდა. ამ დროს კი მიჩელმა ემოციური სიტყვით მომმართა და გადამიბირა. ვიფიქრე, ჯანდაბას, რაც არის, არის-მეთქი. წინ დავრჩი და უკან ფეხი აღარ დამიდგამს. ძალიან მალე მოხდა ის, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ოლსენი შეცდა და ბუტრაგენიომ უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა (იცინის)

**- თქვენი აზრით, 20 წლის წინანდელი დანიის ნაკრები მართლაც იმდენად ძლიერი იყო, როგორც მას ახასიათებდნენ?**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მაშინ დანიის ნაკრები უპირობო ფავორიტი იყო. ესპანეთის შანსებზე არავინ საუბრობდა. აბსოლუტურად ყველა დარწმუნებული გახლდათ, რომ მომდევნო ეტაპზე ბრძოლას დანია გააგრძელებდა. როგორ ჩანს, ჩვენი შესაძლებლობების თითქმის არავის სჯეროდა... მაგრამ ჩვენ გენიალურად ვითამაშეთ.

**- მიჩელს, ალბათ, ერთი სიტყვით უგებდით. თქვენი ტანდემის წყალობით, სამეფო კლუბმა პრიმერა დივიზიონში ხუთჯერ გაიმარჯვა.**

- რა თქმა უნდა, ჩვენ შესანიშნავი პარტნიორები ვიყავით. მიჩელს თქმაც კი არ სჭირდებოდა ისე მაწვდიდა პასს. მთავარი იყო, მეტოქეს თუნდაც ერთი წამით დავსხლტომოდი, რომ უკვე გასაოცარ გადაცემას მაწვდიდა. ნაკრებშიც სერიოზული წარმატებები გვქონდა. დამეთანხმებით, იმ პერიოდში თითქმის მთელ ესპანეთს ჩვენი გვარები ეკერა პირზე.

**- მე ისიც მახსოვს, რომ ესპანეთს მაშინ პრებენ ელკიაერ ლარსენის ტყვიასავით ეშინოდა. გულშემატკივრები ლოცულობდნენ, მას ერთ ბურთზე მეტი არ გაეტანა. სინამდვილეში კი დანიელი სუპერფორვარდი გოიკოეჩეამ პირწმინდად ჩაკეტა. მათ შორის მაშინ უსიამოვნო შელაპარაკებაც მოხდა...**

- ყველა მშვიდად ვგრძნობდით თავს, რადგან დაცვაში გოიკო, კამაჩო და ტომასი გვყავდნენ. ისინი იმდენად საიმედოდ თამაშობდნენ, რომ აღფრთოვანებას ვერასოდეს ვმალავდი. ჩვენ ელკიაერი შევაჩერეთ. ეს ხუმრობა მართლაც არ გახლდათ.

**- როგორ გგონიათ, 20 წლის წინ ფეხბურთს სხვა რიტმი ჰქონდა, თამაში უფრო ნელ ტემპში მიმდინარეობდა?**

- რიტმი განსხვავებული გახლდათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს დროს ფეხბურთი უფრო დაბალი დონის იყო. პირიქით, მაშინ ყველაფერი ოსტატობაზე გახლდათ დამოკიდებული. დღევანდელი მოთამაშეების დიდი ნაწილი იმ ეპოქის გუნდების სათადარიგო შემადგენლობაშიც კი ვერ მოხვდებოდა.

**- ბუტრაგენიო, როგორ ფიქრობთ, ესპანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულთან ყველაზე ახლოს 1986 წლის მუნდიალზე იყო?**

- ბელგიასთან ყველა წესის თანახმად უნდა მოგვეგო. ფატალურად არ გაგვიმართლა. იცით, დღესაც მგონია, თითქოს იმ თამაშში გავიმარჯვეთ. ბელგიელთა ბარიერი მართლაც რომ გადაგველახა, მომდევნო ეტაპზე არგენტინას დავეჯახებოდით. გესმით, დიეგო მარადონას არგენტინას. მოგება, ცხადია, ძალიან ძნელი იქნებოდა.



ემილიო ბუტრაგენიო

**- მუნდიალის მეოთხედფინალში ესპანეთმა ამერიკასა და კორეაშიც გააღწია, მაგრამ იქაც ბედმა გაგვყიდა...**

- გულდასაწყვეტი მატჩები იყო. ძარღვებში სისხლი მეყინება, როცა მახსენდება ამერიკის მუნდიალზე იტალიასთან როგორი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. რომ გაგვეტანა აუცილებლად ფინალში გავიდოდით. ბულგარეთი ბრდღვნად არ გვეყოფოდა, მაგრამ მაშინაც არ გაგვიმართლა. არადა, ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს. კორეის მუნდიალს რაც შეეხება, ყველას გახსოვთ, იმ ძაღლისშვილმა მსაჯმა რაც გვიყო.

**- ხან მსაჯი გვჩაგრავს, ხან ბედი არ გვწყალობს. როგორ ფიქრობთ, შეძლებს ესპანეთი როდესმე რაიმეს მოგებას?**

- რა თქმა უნდა. რატომ ხართ ასეთი პესიმისტები? გაიხსენეთ, რა ქნა საბერძნეთის ნაკრებმა პორტუგალიაში? როცა ვერავინ წარმოიდგენდა, რეჰაგელის ბიჭები ევროპის ჩემპიონები გახდნენ. ვფიქრობ, ჩვენ სწორედ მათი გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. საერთოდ, წარმატების მიღწევა ყოველთვის მაშინაა იოლი, როცა ამას შენგან არავინ ელის.

**- დანიის ნაკრების მაშინდელმა ლიბერო მორტენ ოლსენმა რამდენჯერმა წაგაქციათ. ის უხეშად გეთამაშებოდათ და წესების დარღვევას არ თაკილობდა. ახლა კი ეს კაცი დანიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელია. რას გვეტყვით მასზე?**

- ის უდიდესი კლასის მქონე მოთამაშე გახლდათ. ბურთს ფეხზე იწებებდა და ისე დაჰქონდა. ოლსენი მწვრთნელობაშიც წარმატებული კაცი გამოდგა. მოკლედ, ნიჭიერი ადამიანია.

**- რას ფიქრობს ბუტრაგენიო, შაბათს შევძლებთ დანიის დამარცხებას?**

- გამარჯვებაში წამითაც არ მეპარება ეჭვი. მათ ჩინებული გუნდი ჰყავთ, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერები ვართ. გარდა ამისა, ლამ-ლამობით "სანტიაგო ბერნაბეუს" ჯადოსნური ძალა აქვს.

**- არაგონესი სწორად მუშაობს?**

- ამ კითხვას უახლოეს მომავალში გაეცემა პასუხი. თუ ესპანეთის ნაკრები 2008 წლის ევროპის პირველობაზე გააღწევს, არაგონესთან პრეტენზია არავის ექნება.

**- თანამედროვეობის რომელიმე ფორვარდი ემილიო ბუტრაგენიოს ხომ არ ჰგავს?**

- არა, ჩვენ ჩვენი ეპოქის შვილები ვართ. ახლა სულ სხვა ბიჭები თამაშობენ. მათ თავიანთი ბედისწერა და იღბალი აქვთ. საუკეთესოს კი ისტორია გამოააშკარავებს. იმ დროისთვის, შესაძლოა, ცოცხლებიც აღარ ვიყოთ (იცინის). მთავარია, რომ მომავალ თაობას ობიექტური შეფასებისთვის ვიდეოფირები გადაეცემა. როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, ისინი ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავენ და იტყვიან, ესა და ეს ფეხბურთელი საუკეთესო იყო საუკეთესოთა შორისა. ვფიქრობ, ისინი ყველაზე ობიექტურ არჩევანს გააკეთებენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბარსელონა

# სავიოლაზე ნადირობა დაიწყო

## არგენტინელს რამდენიმე საინტერესო წინადადება შესთავაზეს, მაგრამ ის ჯერ ხმას არ იღებს...

**ხავიერ სავიოლა** იმედს არ კარგავს, რომ "ბარსელონის" ხელმძღვანელობა ახალი კონტრაქტის გაფორმებას შესთავაზებს. არგენტინელმა ფორვარდმა ამასწინათ, კიდევ ერთხელ განაცხადა, ჯერჯერობით, არავის წინადადებას არ ვიღებ, რადგან კარიერის "კამპ ნოუზე" გაგრძელება მსურსო. კატეგორიული ტონის მიუხედავად, "ბაჭიას" ერთბაშად რამდენიმე მთხოვნელი გამოუჩნდა. თავდაპირველად ესპანურ კლუბებზე მოგახსენებთ. "დიარიო ასის" გუშინდელ ნომერში ეწერა, რომ სავიოლას "ვილიარეალი" და "სარაგოსა" ეპატიჟებიან. "ვილიარეალის" უმაღლესმა ხელისუფალმა **ფრანსისკო როიგმა** ხავიერის მენეჯერს პირადად მოახსენა, რომ მისი გადაბირების ცხოველი სურვილი ამოძრავებს. სენიორ როიგს კიდევ ერთხელ განუმარტეს, რომ ოკეანისგაღმელი ფორვარდი არ ჩქარობს და "ბარსელონაში" კიდევ რამდენიმე წლით დარჩენისთვის იბრძვის.

"ვილიარეალის" დარად, სავიოლას საკუთარ გუნდში წაყვანა "სარაგოსის" შეფებსაც სურთ. არაგონელები არგენტინელს პირობას აძლევენ, რომ სოლიდურ ხელფასს გადაუხდიან და ძირითად შემადგენლობაში ათამაშებენ. გარდა ამისა, ისინი "ბაჭიას" ახსენებენ, რომ "ლა რომარედაზე" **პაბლიტო აიმარი, ანდრეს დალესანდრო, გაბრიელ და დიეგო მილიტოები** თამაშობენ. სარაგოსაში დასახლების შემთხვევაში არგენტინელი სავიოლა ამდენი თანამემამულის გადამკიდე მართლაც არ მოიწყენს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ბარსას" თავდამსხმელს მთელ მსოფლიოში ახლა ყველაზე მეტად **რაფა ბენიტესი** აფასებს. "ლივერპულის" ესპანელი დამრიგებელი ზოგადად სატრანსფერო დაინტერესებებზე საჯაროდ საუბარს ყოველთვის ერიდებოდა, მაგრამ ამჯერად მან ტრადიცია დაარღვია და "დიარიო მარკას" კორესპონდენტს ასეთი რამ უთხრა: *"არ გამოვრიცხავ, "ბარსელონამ" ხავიერს კონტრაქტი გაუფორმოს და შემდეგ ისევ სადმე გაანათხოვროს. კატალონიელები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ძვირადღირებული ფეხბურთელი უფასოდ არ დათმონ. ეს ხავიერს კარგად უნდა ესმოდეს. ვფიქრობ, მისთვის უკეთესი იქნება, თუ პარალელურად ჩვენც დაგველაპარაკება და "ლივერპულის" შეთავაზებას მოისმენს. ტყუილად ლოდინი არაფერს არგებს. შევეცდებით, დავარწმუნოთ, რომ საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი მას "ენფილდზე" გაცილებით უფრო ხშირად მიეცემა."*

კაცმა რომ თქვას, შესაძლოა, ბენიტესი მართლაც არ ტყუოდეს. "ბაჭიას" კატალონიურ გრანდთან ხელშეკრულების ვადა 30 ივნისს ეწურება. ზაფხულის ამ დღეს ის "ბარსას" აბსოლუტურად უფასოდ დატოვებს. აი, იმ შემთხვევაში, თუ **ჩიკი ბეგირისტაინი** პრაგმატულ და ამავდროულად ცბიერ გადაწყვეტილებას მიიღებს, ხავიერი მრავალმილიონიანი გასაყიდი ფეხბურთელი გახდება. ხომ ყველაფერი მისახვედრია? ბეგირისტაინი სავიოლას ეტყვის, შენ ჩვენ გვჭირდები. აი კალამი და ახალ კონტრაქტს ხელი მოაწერეო. "ბარსა" ფორვარდზე უფლებებს შეინარჩუნებს და თუ მიხვდება, რომ სინამდვილეში სულაც არ სჭირდება, ერთი სეზონით გაანათხოვრებს. მომდევნო წელს კი სარფიანად გაყიდის. ბენიტესი სწორედ მოვლენათა ამგვარ განვითარებას ელის და სავიოლას აფრთხილებს, რომ მძიმე შეცდომა არ დაუშვას.

ესპანეთი VS დანია

# არაგონესმა იცის: შეცდომა არ შეიძლება

## ბერნაბეუზე ექსპერიმენტული დაცვით

ესპანეთს შეცდომის უფლება აღარ აქვს. მას ჯგუფში მეხუთე ადგილი უკავია. დღეს და ოთხშაბათს, ისლანდიასთან, **ლუის არაგონესმა** აუცილებლად უნდა მოიგოს. ესპანელთა ცენტრალური მცველები, **კარლეს პუიოლი** და **სერხიო რამოსი** სასჯელებს იხდიან. მწვრთნელს ექსპერიმენტული უკანა ხაზის დაყენება მოუწევს: მარჯვენივ სელტელი **ანხელი** ითამაშებს, ცენტრში **ხავი ნავარო** და **კარლოს მარჩენა**, ხოლო მარცხნივ **ხოან კაპდევილა**.

ნახევარდაცვის ცენტრს ბარსელონელი **ანდრეს ინიესტა** და **ჩავი ერნანდესი** გააკონტროლებენ. ფლანგებიდან მათ ვალენსიელი **დავიდ სილვა** და **დავიდ ალბელდა** მიეშველებიან. თავდასხმაში ორ ადგილზე სამი ფეხბურთელი აცხადებს პრეტენზიას - **ფერნანდო ტორესი, ფერნანდო მორიენტესი** და **დავიდ ვილია**.

ესპანეთისა და დანიის ბოლო ოთხი შეხვედრიდან ესპანელებმა სამი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს. მიმდინარე შესარჩევში დანიელები უკეთ გამოიყურებიან. ისინი მეტოქეს სამი საფეხურით აღემატებიან. მწყობრშია სტუმართა კაპიტანი **იონ დალ ტომასონი**, რომელიც ამ სეზონს "ვილიარეალში" ატარებს.

სავარაუდო შემადგენლობები

**ესპანეთი**: კასილიასი, ანხელი, ნავარო, მარჩენა, კაპდევილა; ინიესტა, ჩავი, ალბელდა, დავიდ სილვა, მორიენტესი (ან ტორესი), ვილია.

**დანია**: სორენსენი, იაკობსენი, გრავგაარდი, აგერი, ნიკლას იენსენი, დანიელ იენსენი, პოულსენი, იორგენსენი, გრონკიაერი, ბენდტნერი, ტომასონი.

**მსაჯი**: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანლუიჯი ბუფონი გზაგასაყარზე

# ის მარჩელოს უარს ვერ ეტყვის

## იუვეს მეკარემ ჯერ არ იცის, დარჩება თუ წავა...

**ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო**, ფიატ-ისა და "ფერარის" პრეზიდენტი, **ანიელების** ოჯახის მარჯვენა ხელი, მსოფლიოს საუკეთესო ათ მენეჯერს შორის ერთ-ერთი. და, რაღა თქმა უნდა, 100-პროცენტით იუვენტინო. ეს კაცი ამბობს, ოცნებობს, ითხოვს, რომ "იუვენტუსმა" სკუდეტო დაუყოვნებლივ მოიგოს – ანუ მომავალ სეზონში, მას შემდეგ, რაც სერია A-ს დაუბრუნდება (ეს კი უკვე გადაწყვეტილად ითვლება). შეიძლება, ითქვას, რომ ამ განცხადებით მონტეძემოლომ იტალიურ მედიას ახალი თემა "ჩააწოდა". ჟურნალისტები ორი დღეა ყველას ამ შეკითხვას უსვამენ: რას ფიქრობთ მონტეძემოლოს განცხადებაზე, გახდება "იუვე" ჩემპიონი პირველივე სეზონში? კოვერჩანოს მოსამზადებელი ცენტრიდან, სადაც ამ დღეებში იტალიის ნაკრებია შეკრებილი, ფიატ-ის პრეზიდენტს "იუვეს" მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონი** ასე პასუხობს: "კარგია და სწორიცაა, რომ ისეთი დიდი მენეჯერი, როგორიც მონტეძემოლოა, სკუდეტოს პირველივე წელს მოგებაზე ფიქრობს. ოპტიმიზმი აუცილებელი პირობაა შედეგების მისაღწევად, მაგრამ წარმატებისთვის წლები და მნიშვნელოვანი პროექტია საჭირო. როგორც ჩვენი პრეზიდენტი კობოლი ჯილი ამბობს, ან შენ უნდა აღზარდო რონალდინიო, ან კიდევ დიდი ფული გჭირდება კონკურენტუნარიანი რომ იყო. ვფიქრობ, რომ "იუვენტუსისთვის" ნამდვილი სკუდეტო ის იქნება, თუკი მომავალ სეზონს პირველ ოთხეულში დაასრულებს. ჩემპიონობა კი, ალბათ, ორსამ წელიწადში გახდება შესაძლებელი."

ამას ბუნებრივად მოსდევს ძველი შეკითხვა – იქნება თუ არა ბუფონი ამ დროს "იუვენტუსში"? მსოფლიოს ჩემპიონ გოლკიპერს პირდაპირი პასუხის გაცემა უჭირს და ცოტა შორიდან იწყებს: "იუვესთან" ერთად სერია B-ში დარჩენის გადაწყვეტილება ინსტინქტურად მივიღე და ამის გამო თავიდან ბედნიერი ნამდვილად არ ვყოფილვარ. დარჩენის შესახებ პირველად ივლისში ვთქვი და სიტყვა შევასრულე კიდეც, მაგრამ ამ ზაფხულში რას გადავწყვეტ, ეს ჯერ კიდევ არ ვიცი... სიმართლე გითხრათ, სერია A-ს თითქმის არ ვუყურებ და არც ჩემპიონთა ლიგას, "მილანი"-"სელტიკის" ერთი ტაიმი ვნახე, ჩემი ჩემპიონატი ახლა სერია B-ა. ვფიქრობ, რომ ამ ტურნირის პირველი შვიდი გუნდი დღეს A-ში რომ გამოდიოდეს, მე-7-დან მე-13 ადგილებს შორის იქნებოდა. ასეა თუ ისე, შურისძიების სურვილი დიდია, მაგრამ წლევანდელი "ინტერი" ისე თამაშობს, რომ მასთან თანასწორად გაჯიბრება მომავალ სეზონში შეუძლებელი იქნება. ეს გუნდი ძალიან მაგონებს გასული წლების "იუვენტუსს", რომელიც ხუთი წლის განმავლობაში შეიქმნა და არა ხუთ თვეში. ჩვენთვის ნამდვილი სასჯელი იყო არა სერია B-ში დაქვეითება, არამედ ის, რომ საათივით აწყობილი გუნდი დაგვეშალა. ამის გამო, ახლა არაადამიანური ძალისხმევაა საჭირო ძველი "იუვეს" შესაქმნელად და იმ გუნდებთან საბრძოლველად, ვინც A-ში ჩვენი ადგილი დაიკავა. კაცმა რომ თქვას, "ინტერი" დღეს იგივეა, რაც ადრე იყო, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ორი ექსიუვენტინო დაემატა... კარგია, რომ ანიელების ოჯახმა კლუბს 105 მილიონი გამოუყო, ამან გარკვეული სტიმული შეგვმატა, მაგრამ წინასწარ ვიცოდი, რომ თანხის ნაწილი დავალიანების დასაფარად იყო გათვლილი."

ბუფონს **მარჩელო ლიპის** თაობაზეც ჰკითხეს, რომელმაც, ბოლო ინფორმაციით, შეიძლება, აბრამოვიჩის "ჩელსი" ჩაიბაროს. "ჩემთვის ლიპი მწვრთნელის იდეალია – თქვა მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერმა – თავის გუნდში გაყოლა რომ მთხოვოს, უარის თქმა ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ვიცი, რომ ამას არ გააკეთებს... ლიპის შეთავაზებების ნაკლებობა ნამდვილად არ ექნება. ჩემი აზრით, უკვე გაკეთებულ გუნდში მისვლა უნდა, კიდევ იმიტომ, რომ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილ პროექტზე მუშაობის დრო და სურვილი, მგონი, არ უნდა ჰქონდეს. ის ლიპი, რომელიც ნაკრებში გვყავდა, უნაკლო მწვრთნელი იყო, თითქმის იდეალთან მიახლოებული. როცა "იუვენტუსში" მწვრთნიდა, მაშინ გარკვეული შეცდომები კიდევ შეიძლებოდა მოსვლოდა, მაგრამ ბოლო სეზონში საქმე უკვე ბრწყინვალედ ჰქონდა აწყობილი, როგორც ტაქტიკის, ისე ფეხბურთელებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ბევრ დიდ მწვრთნელს შეუძლია, რომ მოთამაშისგან 100 პროცენტი მიიღოს, ლიპის კი 110 პროცენტის მიღება შეუძლია."



ჯანლუიჯი ბუფონი

**ფრანჩესკო ტოტის** "აძურიში" დაბრუნების პრობლემას ბუფონი ასე უყურებს: "ფრანჩესკოს გადაწყვეტილებას ყველამ პატივი უნდა ვცეთ. გარკვევით თქვა, რომ ნაკრებში მას შემდეგ დაბრუნდება, როცა კოჭიდან იმ ფირფიტას ამოუღებენ. ჩვენც დავიცადოთ. თუკი ფირფიტით ასე კარგად თამაშობს, მის გარეშე კიდევ უფრო ძლიერად ითამაშებს და ნაკრებსაც დიდ სარგებლობას მოუტანს". მოჯი? "ყველაზე მეტად ის დაისაჯა, ტრაბახი უყვარდა, ეს იყო მისი დანაშაული, ალბათ სწორი არ იყო, რომ მხოლოდ ის დასაჯეს". მეკარეები? "პერუცის გარდა, სერია A-ს საუკეთესო მეკარეები დონი, ამელია და ფრეი არიან."

პრესასთან საუბრის ბოლო ნაწილი ჯიჯიმ თავის კაპიტანს, **ალესანდრო დელ პიეროს** მიუძღვნა. თბილისში ტრიბუნაზე გამწესების შემდეგ, "იუვეს" კაპიტანს კიდევ ერთი უსიამოვნო ფრაზის გაგონება მოუხდა **რობერტო დონადონისგან**, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თქვა, დელ პიეროს ისევე განვიხილავ, როგორც ახალწვეულსო. აი, ბუფონის შეფასება: "ყოველთვის ვამბობთ, გუნდში ყველა თანასწორია, მაგრამ საქმე მთლად ასეც არ უნდა იყოს: როცა ფეხბურთელს 120 თამაში აქვს ჩატარებული, ბუნებრივია, რომ ვერ გაუტოლებ იმას, ვინც მხოლოდ ერთხელ ითამაშა. მაგრამ მწვრთნელის საქმეში მაინც არავინ უნდა ერეოდეს. მას შემდეგ, რაც ის გადაწყვეტილებას მიიღებს, თავისი გზა უნდა გააგრძელოს და არავის უსმინოს. არჩევანს მწვრთნელი აკეთებს და მას პატივი უნდა ვცეთ."

**გოგა ახალაძე**

ინტერვიუ ჩეზარე პრანდელისთან

# ადრიანო და ჯილარდინო? იდეალურია

## მწვრთნელს სურს, ყოფილი შეგირდების წყვილი ფლორენციაში იხილოს...



ჩეზარე პრანდელი

**ინტერვიუს წინ ჩეზარე პრანდელი "გაძეტა დელო სპორტის" ბოლო ნომერს ფურცლავს: ლიპი და ვიალი "ჩელსიში", ანჩელოტი ფედერკალჩოს საკუთარ კანდიდატურას სთავაზობს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე, "მილანს" რიიკარდი და მოურინიო მოსწონს. ერთი სიტყვით, მწვრთნელებში დიდი მოძრაობაა. მაგრამ პრანდელის ეს არ ეხება. ის ფლორენციაში დარჩება, ამბიციური მიზნების მისაღწევად: "ჩემთვის იდეალური გუნდის მოდელი არის ვიალისა და მანჩინის დროინდელი "სამპდორია", რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იქმნებოდა და სკუდეტომდე მივიდა. 2010 წლის შემდეგ, როცა ფეხბურთში ფული უფრო თანასწორად იქნება გადანაწილებული და როცა ჩვენი ახალგაზრდები საფეხბურთო სიმწიფის ასაკში იქნებიან, ჩემპიონის ტიტულისთვის ჩვენც ვიბრძოლებთ".**

**- მანამდე კი, ევროთასების საგზურთან ერთ ნაბიჯში ხართ, თან ისე, რომ 15 ქულა გაქვთ დაკლებული.**

- ჩემპიონატში ჩვენი ასეთი გამოსვლა მართლაც დიდი მოულოდნელობაა. "ფიორენტინის" უეფას თასზე გასვლა გმირობის ტოლფასი იქნება.

**- და თუ სეზონს პირველ ოთხეულში გასვლით დაასრულებთ?**

- 10 პროცენტია იმის შესაძლებლობა, რომ ჩემპიონთალიგურ ზონაში მოვხვდეთ. დარჩენილი ათი შეხვედრიდან ათივეს მოგებაზე ფიქრს ჩემს ფეხბურთელებს ნამდვილად ვერ ავუკრძალავ, მაგრამ პირადად, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასვლის ფავორიტებს ასეთი თანმიმდევრობით დავალაგებდი: "ლაციო", "მილანი", "პალერმო" და "ემპოლი".

**- სატრანსფერო ბაზარი უკვე გახურდა: ლუკა ტონი ფლორენციაში დარჩება?**

- ლუკას "ვიოლას" მაისურით 50 გოლი აქვს გატანილი. მის გარეშე "ფიორენტინა" უკვე ველარ წარმომიდგენია. მაგრამ ტონი დელა ვალეს უნდა დაელაპარაკოს. ჩვენც მოუთმენლად ველით მათი შეხვედრის შედეგს.

**- ადრიანოს აიყვანდით?**

- რომელი მწვრთნელი არ აიყვანდა ასეთ ფეხბურთელს? ადრიანოს არაჩვეულებრივი მონაცემები აქვს.

**- "სელესაოს" მწვრთნელი დუნგა ამბობს, რომ უკვე მხოლოდ ადრიანოზეა დამოკიდებული, გახდება თუ არა დიდი ვარსკვლავი.**

- მართალია. ადრიანო მგრძნობიარე ბიჭია. მახსოვს, "პარმაში" ვარჯიშებზე თან პატარა ძმა და მამა მოჰყავდა ხოლმე. მამა მაშინ უკვე მძიმედ ავად იყო, შემდეგ გარდაიცვალა და ადრიანოს ეს ყველაფერი დავიწყებული ვერ ექნება. მის ბუნებას რომ ვიცნობ, ვერ დავიჯერებ, რომ ფულმა მის ცხოვრებაში რამე შეცვალა. ადრიანომ შესაფერისი მომენტი უნდა დაიჭიროს საკუთარი თამაშის საპოვნელად, დანარჩენი კი თავისით მოვა. თუკი ისევ ის ბიჭი იქნება, რომელსაც "პარმაში" ვწვრთნიდი, მაშინ ძალიან დიდი მომავალი აქვს.

**- სატრანსფერო ბაზარზე შეიძლება, თქვენი კიდევ ერთი აღზრდილი, ჯილარდინო ვიხილოთ.**

- ჯილარდინოც ის ვარსკვლავია, რომელსაც ყველა ისურვებდა.

**- ჯილარდინო ბოლოდროინდელ ფოტოსკანდალში გაერია (პაპარაცებმა ფული გამოსძალეს).**

- ჯილარდინო პატიოსანი, გულკეთილი ბიჭია და სწორედ ამ პატიოსნების გამო მოუვიდა, რომ ცოტა გულუბრყვილოდ გამოჩნდა. ასეა თუ ისე, მე ყოველთვის გულკეთილ და პატიოსან ადამიანებთან მუშაობა მირჩევნია.

**- ადრიანო და ჯილარდინო ტონის საკადრის ალტერნატივებად გამოდგებიან?**

- თავი დავანებოთ ტონის. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სიამოვნებით გავწვრთნი ნებისმიერ ვარსკვლავს, რომელიც დაინტერესებული იქნება პრანდელისთან მუშაობით და "ფიორენტინის" პროექტში მონაწილეობით.

**- აგვიხსენით, რას გულისხმობს ეს პროექტი.**

- გვინდა, რომ ზრდა გავაგრძელოთ და რაც შეიძლება მეტი მოვიგოთ, მაგრამ როგორც გუნდმა და არა როგორც ცალკეულმა ინდივიდებმა. "ფიორენტინაში" პრიმადონების ადგილი არ არის.

**- წლევანდელ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ.**

- "ინტერი" უკვე ჩემპიონია და კიდევ მრავალი წლის განმავლობაში იქნება. მანჩინიმ იდეალური გუნდი გააკეთა. მორატი კი დიდი პრეზიდენტია. მომხიბლა მისმა რეაქციამ ბოლოს მომხდარ ფაქტზე, როცა ოფისში მუქარის წერილთან ერთად ტყვიის მასრა გაუგზავნეს. მისი რეაქცია იყო მშვიდი, გონივრული, ყოველგვარი ისტერიკის გარეშე.

**- მოკლედ, "ინტერის" სრული ჰეგემონია გაგრძელდება.**

- მხოლოდ "მილანს" შეუძლია, რომ მომავალ სეზონში კონკურენცია გაუწიოს, ოღონდ იმ პირობით, თუ რონალდინიოს ან მესის იყიდის. სხვა კლუბები კი ძალიან უკან არიან. ხანდახან უფრო გონივრულია, რომ ორ-სამ წელიწადზე გათვალო. ზუსტად ასე მოიქცა "არსენალი", რომელიც უდავოდ გრანდების რიცხვს მიეკუთვნება.

**- წლევანდელ საფეხბურთო სეზონში კარგი და ლამაზი რა იყო?**

- ბევრი რამ: ბუფონის, დელ პიეროსა და ნედვედის გადაწყვეტილება, რომ "იუვეში" დარჩენილიყვნენ, ტოტის გოლები, მალდინის სურვილი, რომ ფეხბურთიდან არ წასულიყო. ხომ ხედავთ, რომ სიმბოლო-ფეხბურთელები ისევ არსებობენ?

**- მუტუს ბრწყინვალე თამაშის აღნიშვნა დაგავიწყდათ.**

- მისი ბრწყინვალე თამაში ჩემი დამსახურება ნაკლებად არის. თავად იპოვნა საკუთარ თავში სტიმული. გარემომაც შეუწყო ხელი: ისეთ ქალს შეხვდა, როგორიც სჭირდებოდა, მეორე შვილი შეეძინა. პიროვნულად გაიზარდა, ისე როგორც საფეხბურთო თვალსაზრისით. თუმცა კიდევ შეუძლია და ვალდებულიცაა, რომ მოუმატოს.

**- დიეგო დელა ვალე "არტემიო ფრანკის" სტადიონზე როდის დაბრუნდება?**

- "კალჩოპოლის" სკანდალმა ჩვენი მეპატრონის ზურგზე გადაიარა. მან თავი სისტემის მსხვერპლად იგრძნო, ენთუზიაზმი ცოტათი გაუნელდა. მაგრამ "ფიორენტინის" გამარჯვებებმა კარგი სამკურნალო ეფექტი მოახდინა. მალე ისევ ვიხილავთ "ფრანკის" ტრიბუნაზე.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერდერი

# ფრინგსი და იუვე, დასამალი არაფერია

## ბებერ ქალბატონს ტორსტენი აუცილებლად სჭირდება, მოლაპარაკებები დაწყებულია. რიგში მილანი და რეალი დგანან...

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, **ტორსტენ ფრინგსი** ბოლო თვეებში ძალიან შეიცვალაო. არა ფიზიკურად (2005 წლის შემდეგ მხრებამდე თმას ატარებს), არამედ შინაგანად - პრესასთან საუბრისას ახლა უკვე ყოველთვის თავდაჯერებულია და თვითონაც გრძნობს, რომ "ვერდერშიც" და გერმანიის ნაკრებშიც წონადი სიტყვა ეთქმის. არცაა გასაკვირი, ბუნდესგუნდში ხომ 65 მატჩი აქვს ჩატარებული. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ტორსტენი პასუხისმგებლობას მოედნის მიღმაც საკუთარ თავზე იღებს.

დიდი ხანია, ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ფრინგსის გადაბირება ტურინის "იუვენტუსს" უნდა. რამდენიმე დღის წინ 30 წლის ტორსტენმა ამ ყველაფერს სპეკულაციები და მონაჭორი უწოდა და არცაა გასაკვირი, გერმანელი ჟურნალისტები ხუთშაბათის პრესკონფერენციაზეც ასეთივე განცხადებას რომ ელოდებოდნენ. მაგრამ ალემან კორესპონდენტებს იმედები გაუცრუვდათ - ფრინგსმა ყველასათვის მოულოდნელად, აბსოლუტურად საპირისპირო რამ თქვა და მისი ახალი განცხადებების მოკლე შინაარსი ასეთია: "თუკი რომელიმე ტოპ-კლუბიდან ტოპ-შემოთავაზება მექნება, "ვერდერიდან" წავალ!"

*"დასამალი არაფერია. ჩემი გადაბირება რამდენიმე გუნდს უნდა და უკვე კონკრეტული წინადადებებითაც მომმართეს. ჩემთვის სულაც არ არის წარმოუდგენელი, რომ გერმანია დავტოვო და კარიერა უცხოეთში გავაგრძელო, რადგან ისეთ ასაკში ვარ, რომ ფაქტია, ამის შანსი უკანასკნელად მეძლევა. თუნდაც მხოლოდ ამის გამო, ჩემი გადაბირებით დაინტერესებული აბსოლუტურად ყველა კლუბის წინადადებას მოვისმენ,"* - განაცხადა ფრინგსმა ხსენებულ პრესკონფერენციაზე და იქვე დასძინა, ისე ნუ გაიგებთ, თითქოს "ვერდერიდან" აუცილებლად მივდივარ, მაგრამ ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ ან ახლა, ანაც არასდროსო.



ტორსტენ ფრინგსი

ფეხბურთელის მრჩეველი **ნორბერტ პფლიპელი** არ მალავს, რომ "იუვენტუსთან" ერთად ტორსტენის ყიდვა "მილანმა" და მადრიდის "რეალმაც" მოისურვეს. პფლიპენი პირდაპირ ამბობს, რომ მან ბრემენული კლუბის მენეჯერი **კლაუს ალოფსი** საქმის ყურში უკვე ჩააყენა. არადა, ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ თქვა, ფრინგსისა და "იუვენტუსის" მოლაპარაკება თითიდან გამოწოვილი ჭორიაო. ტორსტენს "მუსიკოსებთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს. ფიფას ახალი კანონის თანახმად, ფეხბურთელს, რომელიც მინიმუმ 29 წლისაა, ერთ გუნდში 2 სეზონის გატარების შემდეგ, თავისუფლად შეუძლია ხელშეკრულების გაწყვეტა და რაც მთავარია, მისმა მსურველმა მოთამაშის საბაზრო ფასზე გაცილებით ნაკლები თანხა უნდა გადაიხადოს. გამოდის, რომ ფრინგსის მსურველს შეუძლია, ბუნდესგუნდის საყრდენი ნახევარმცველი მაქსიმუმ 5 მილიონ ევროდ შეიძინოს, მაშინ, როცა დღესდღეობით ფრინგსი დაახლოებით სამჯერ მეტად ფასობს.

სწორედ ამიტომ "ვერდერის" შეფებს უნდათ, რომ მასთან კონტრაქტი ვადამდე ადრე, კერძოდ ახლავე გაახანგრძლივონ და ამისათვის ყველაფერს აკეთებენ. ტორსტენის წლიური ხელფასი 3 მილიონია და მან უკვე დადასტურა, რომ ალოფსს ახალი კონტრაქტის შესახებ ელაპარაკება. თუმცა ბრემენელებს მაინც ძალიან მცირე შანსი აქვთ, რადგან მათი კონკურენტი "იუვენტუსია", რომელსაც ფრინგსი შესანიშნავ კლუბს უწოდებს. ცოტა ხნის წინათ კი, "ბებერი ქალბატონის" მთავარმა მწვრთნელმა **დიდიე დეშამმა** თქვა, ტორსტენი აუცილებლად მჭირდებაო. ამას ფეხბურთელის მრჩეველიც ადასტურებს.

*"სამი კვირის წინ "იუვენტუსის" სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოსთან პირველი მოლაპარაკება გავმართე. ტურინელები მზად არიან, ტორსტენის ხელში ჩასაგდებად ყველაფერი იღონონ,"* - ამბობს პფლიპენი.

**გოტფრიდ ლენცი**



ხუან რომან რიკელმეს პირველი გოლი ბოკაში დაბრუნების შემდეგ

## ლიბერტადორესი 2007. ჯგუფური ტურნირი

### I ჯგუფი

**ბანფილდი (არგ)-ამერიკა (მექ) 3:1**

**ბანფილდი:** ლუკეტი, ანდრისი (85. რობერტო სალვატიერა), ბარასა, ჩატრუკი (60. ანხელ მორალესი), სანგინეტი, დანიელ კინტეროსი, ვილარეალი, ლუხამბიო (46. ბარდარო), კარლოს გალვანი, შმიდტი, ცვიტანიჩი.

**ამერიკა:** ფრანსისკო ოჩოა, ისმაელ როდრიგესი (27. სალინასი), ხოსე კასტრო, მოსკედა (74. სანტიაგო ფერნანდესი), ხერმან ვილია, სარიტამა, დიეგო ჩავესი, ალეხანდრო როა (46. დანიელ ბილოსი), სალვადორ კაბანიასი, ოსკარ როხასი, რიკარდო როხასი.

**გოლები:** 1:0 ლუხამბიო (24), 2:0 ლუხამბიო (39), 3:0 ცვიტანიჩი (70), 3:1 კაბანიასი (86)

**ლიბერტ. (პარ)-ეს ნასიონ. (ეკვ) 1:0**

**ლიბერტადი:** ბავა, ბონეტი, პედრო ბენიტესი, სარაბია, ბალბუენა, კრისტიან რივეროსი, პაბლო გინასუ, აკინიო, ოსვალდო მარტინესი (82. ვალდიმირ მარინი), ბარეირო (68. ნელსონ რომერო), როდრიგო ლოპესი.

**ეს ნასიონალი:** კოროსო, კუერო (81. ჩეკა), ომარ დე ხესუსი, კარლოს კასტრო, კაგუა, ერიკ დე ხესუსი, კარლოს იდალგო, პედრო კინიონესი, კიროსი (46. ვალტერ კალდერონი), ვალტერ აიოვი (78. ივან კავიედესი), კრისტიან ბენიტესი.

**გოლი:** 1:0 ბონეტი (10)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიბერტადი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 3. ამერიკა | 4 | 2 | 0 | 2 | 8-8 | 6 |
| 2. ბანფილდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 |
| 4. ელ ნასიონალი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |

### II ჯგუფი

**ნეკაქსა (მექ)-სან პაულუ (ბრა) 2:1**

**ნეკაქსა:** ალესანდრო ალვარესი, ორასიო სერვანტესი, ომარ ერნანდესი (38. მარიო პერესი), კლებერი, ევერალდო ბარბოსა, ბელტრანი, გალინდო, სალგეირო (80. ხაიმე რუისი), ლუკასი, ალფრედო მორენო (88. ექტორ სილვერა), კუატროკი.

**სან პაულუ:** როჟერიუ სენი, ალექს სილვა, ანდრე დიასი (19. ედკარლუში/76. მარსელი), მირანდა, ლენილსონი, ილსინიო, ხოსუე, სოუზა, ჟადილსონი, ლეანდრო, ალოიზიო.

**გოლები:** 0:1 ჟადილსონი (40), 1:1 კლებერი (61), 2:1 სალგეირო (68)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეკაქსა | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2. სან პაულუ | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| 3. იტალიანო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. ალიანსა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |

### III ჯგუფი

**სერო (პარ)-კუკუტა (კოლ) 2:1**

**სერო პორტენიო:** ილარიო ნავარო, ლორხიო ალვარესი, ფიდელ პერესი, ნელსონ კაბრერა, ერნესტო კრისტალდო, ოსკარ გამარა (46. აჩუკარო), ედგარ გონსალესი, დომინგო სალსედო, ედერ გოდოი (62. მორინიგო), სესარ რამირესი, ალეხანდრო და სილვა (75. ხორხე ბრიტესი).

**კუკუტა:** რობინსონ საპატა, ბუსტოსი, ვალტერ მორენო, ურტადო, რაგუა, ნელსონ ფლორესი, დუმარ რუედა, მაკნელი ტორესი, ჩარლზ კასტრო, ხუან მანუელ მარტინესი, ბლას პერესი.

**გოლები:** 0:1 პერესი (36-პენ), 1:1 რამირესი (51), 2:1 და სილვა (66)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტესი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 2. გრემიო | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 3. ს. პორტენიო | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 4. კუკუტა | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |

### IV ჯგუფი

**ემელეკი (ეკვ)-ნასიონ. (ურუ) 1:0**

**ემელეკი:** ელისაგა, კარლოს კინიონესი, საისედო, მარკო კინიონესი, მინდა (63. აროიო), სამბრანო, ხოსე ლუის კინიონესი, ლუის რივერა, სებასტიან ერნანდესი (72. ესტასიო), ვიატრი, ჯერონიმო მორალესი (66. ლადინესი).

**ნასიონალი:** ალექსის ვიერა, პაბლო ალვარესი, ხაუმე, გოდინი, ვიანა, კარდაჩო (767 დელგადო), ბროლი, მარსელო სოსა, ლა ლუსი (70. ალეხანდრო როდრიგესი), ხორხე მარტინესი, ვერა (79. გონსალო კასტრო).

**გოლი:** 1:0 ხოსე ლუის კინიონენი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ნასიონალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 3. ინტერნასიონალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 4. ემელეკი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |

### V ჯგუფი

**პოტოსი (ბოლ)-მარაკ. (ვენ) 2:2**

**რეალ პოტოსი:** ბურტოვოი, ედემირ როდრიგესი, ლუის რიბეირო, ამადორი, ჟერსონ გარსია, ნიკოლას სუარესი, კალუსტრო (62. ლედერ პასი), პენია, მარკო პასი, ედუ მონტეირო, რუბენ აგილერა (67. ბრანდანი).

**მარაკაიბო:** სანჰაუსი, ვალენილია, ფუენმაიორი, რაფაელ მეა ვიტალი, ელვის მარტინესი, პედრო ფერნანდესი, მიგელ მეა ვიტალი, დარიო ფიგეროა, გასტონ გალვანი, კრისტიან კასერესი, ორლანდო ბალესტეროსი (75. რენტერია).

**გოლები:** 1:0 მონტეირო (13-პენ), 1:1 კასერესი (37), 2:1 მონტეირო (41), 2:2 ბალესტეროსი (57)

**ფლამენგო (ბრა)-პარანა (ბრა) 1:0**

**ფლამენგო:** ბრუნო, რონალდო ანჟელიმი, ირინეუ, ჟუანი, პაულინიო, რენატო, რენატო აუგუსტო, ლეონარდო, ჟუნინიო პაულისტა (89. ჟაილტონი), რონი (68. ლეონარდო), სოუზა (89. ლეო მედეირუში).

**პარანა:** ფლავიო, დანიელ მარკესი, ეჟიდიო, ბეტო, ჟოაო პაულუ, დინელსონი (78. ლიმა), ანდრე ლუისი, შავეში, ჟერსონი (70. ვინისიუს პაშეკუ), ენრიკე (74. ალექსი), ჟოსიელი.

**გოლი:** 1:0 ლეონარდო (85)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლამენგო | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 2. პარანა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| 3. რეალ პოტოსი | 4 | 0 | 3 | 1 | 5-7 | 3 |
| 4. მარაკაიბო | 4 | 0 | 2 | 2 | 6-10 | 2 |

### VI ჯგუფი

**კარაკ. (ვენ)-კოლო კოლო (ჩილ) 0:4**

**კარაკასი:** ტოიო, ედერ პერესი, ხოსე რეი, ვისკარონდო (46. ლუსენა), ვიელმა, ლუის ვერა, ხორხე როხასი, სესარ გონსალესი (73. კასტელანი), გერა, კარპინტერო, ივან ველასკესი (63. აბინსონ ესკობარი).

**კოლო კოლო:** სეხასი, ვიდალი, რიფო, მენა, ფიერო, ვილაროელი, ედისონ ხიმენესი (56. გონსალო ხარა), მელენდესი, ხოსე ხერესი (87. ასევედო), ჯოვანი ერნანდესი (82. მილარი), ალექსის სანჩესი.

**გოლები:** 0:1 სანჩესი (21), 0:2 ხიმენესი (28), 0:3 სანჩესი (58), 0:4 სანჩესი (85)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარაკასი | 3 | 2 | 0 | 1 | 2-4 | 6 |
| 2. ლიგა დე კიტო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 3. რივერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. კოლო კოლო | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |

### VII ჯგუფი

**ბოკა (არგ)-ტოლუკა (მექ) 3:0**

**ბოკა:** კარანტა, იბარა, მაიდანა, კლემენტე როდრიგესი, ბანეგა, მორელი, მონდაინი (76. მარიონი), ლედესმა, რიკელმე, ნერი კარდოსო (85. დატოლო), პალერმო (82. ბოსელი).

**ტოლუკა:** კრისტანტე, კრუსალტა, როსადა, არიასი (46. ალმასანი), პაულო და სილვა, პონსე, კარლოს მორალესი (60. ესკიველი), ესპინოსა, ნაელსონი, დიეგო დე ლა ტორე (67. ავალოსი), ვისენტე სანჩესი.

**გოლები:** 1:0 მაიდანა (15), 2:0 რიკელმე (23), 3:0 ბოსელი (82)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 2. ტოლუკა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 3. ბოლივარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-6 | 4 |
| 4. სინსიანო | 3 | 1 | 0 | 2 | 6-4 | 3 |

### VIII ჯგუფი

**ხიმნასია (არგ)-სანტოსი (ბრა) 1:2**

**ხიმნასია:** კლეტნიჩკი, ხერმან ბასუალდო, სემინო, ლანდა, რომერო (77. ლეალი), პიატი, ალდერეტი, პაშეკუ (67. ლეგისამონი), დუბარდიერი, პიერგუიდი, სანტიაგო სილვა.

**სანტოსი:** ფაბიო კოშტა, დენისი (74. პედრო), ადაილტონი, ანტონიო კარლოსი, კლებერი, როდრიგო სოუტუ, ლეონარდო (62. მარსელო), კლებერ სანტანა, ზე რობერტო, მარკოს აურელიო (62. პედრინიო), როდრიგო ტიუი.

**გოლები:** 0:1 მარკო პურელიო (2), 1:1 ლეალი (88), 1:2 ზე რობერტო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სანტოსი | 4 | 4 | 0 | 0 | 7-1 | 12 |
| 2. დეფენსორი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3. ხიმნასია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 3 |
| 4. დეპ. პასტო | 3 | 0 | 0 | 3 | 3-6 | 0 |

რეალი

# შუსტერმა მოთხოვნები წამოაყენა

"დიარიო ასი" თავისას არ იშლის. მადრიდული გამოცემა კვლავ გვარწმუნებს, რომ "რეალის" გენერალური დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი ბერნდ შუსტერს** სამეფო კლუბის გაძღოლაზე სიტყვიერად შეუთანხმდა. მსხვილტირაჟიანი სპორტული გაზეთი ახლა კიდევ უფრო შორს წავიდა და კონფიდენციალურ წყაროებზე დაყრდნობით მორიგი სენსაციური ცნობა გაავრცელა. კერძოდ, ითქვა, რომ შუსტერმა მიატოვიჩთან სასწრაფოდ შეხვედრა მოითხოვა. პაპარაცების გადამკიდე, ისინი ერთ შენობაში ერთდროულად ვერ მოხვდნენ, თუმცა ტელეფონით ისაუბრეს და რამდენიმე საკითხი განიხილეს. "დიარიო ასის" ინკოგნიტო ინფორმატორი ამტკიცებს, რომ გერმანელმა სპეციალისტმა მიატოვიჩს **კაკას** შეძენა მოსთხოვა. შუსტერმა ურჩია, თუ საჭიროება მოითხოვს, ბრაზილიელის სანაცვლოდ **დიარა და კანავარო** დათმეთ, გარდა ამისა, 20-30 მილიონი ევროც დაამატეთო. წარმოდგენა არ გვაქვს, ჰერ შუსტერის თხოვნის გამოძახილი იყო, თუ აბსოლუტურად სხვა რამ, მაგრამ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა მილანელ კოლეგებს მართლაც შეეხმიანა და შეახსენა, რომ კაკას გადაბირების იმედი ჯერაც არ დაუკარგავთ. გუშინ ისიც ითქვა, რომ შუსტერი მხოლოდ კაკათი არ კმაყოფილდება და "რეალის" შეფებს **ფაბრეგასის** ყიდვასაც ურჩევსო.

სენსაციური ტრანსფერი

# პარმაში 52 წლის კომედიანტი ჩაირიცხა

"პარმამ" სენსაციური ტრანსფერი გაჩარხა. მან ორთვიანი კონტრაქტი გაუფორმა 52 წლის (!) იტალიელ კომედიანტს, **ჯენე გნოკის**. გნოკი ყოველკვირეული სატელევიზიო შოუს ერთ-ერთი წამყვანია. ის მთელი ცხოვრება სერია A-ში თამაშზე ოცნებობდა. ნოემბერში გნოკიმ კლუბებს სთხოვა, მისთვის თუნდაც ხუთი წუთით თამაშის საშუალება მიეცათ. კომენდიანტმა ვარჯიში დაიწყო. მან "ატალანტა", "ბოლონია", "სიენა" და "ტორინო" მოიარა და საბოლოოდ, "პარმაში" ამოჰყო თავი. იტალიის საფეხბურთო ლიგამ მისი ტრანსფერი რეგისტრაციაში გაატარა, რაც იმას ნიშნავს, რომ გნოკის უკვე მომდევნო ტურში შეუძლია მინდორზე გასვლა. მსახიობი თვეში ლიგის კანონმდებლობის გათვალისწინებულ სახელფასო მინიმუმს, 1 200 ევროს მიიღებს. მაგრამ სცალია გასაჭირში მყოფ კლუბს გნოკისათვის? რაკი კონტრაქტი გაუფორმა, ესე იგი, მოიცლის, მაგრამ, ალბათ, მხოლოდ მას მერე, როცა პარმელები სერია A-ში დარჩენას გაინაღდებენ. კლაუდიო რანიერის დანიშვნის შემდეგ გუნდმა პირველი გამარჯვება მხოლოდ გასულ უქმეებზე, "სიენასთან" მატჩში იზეიმა.



ჯენე გნოკი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

დღეს. საქართველო-რუსეთი. 15:00

# ნუ დამისტვენთ, ძმებო, ქართველი ვარ!

## რუსების დამარცხება ეროვნული ტრადიციაა

პირველი გვერდიდან

რუსეთის ნაკრებთან სულ რაღაც ხუთი დღეა, ვმუშაობ, ამიტომ ჯერ რამე კონკრეტულის თქმა გამიჭირდება. შესაბამისად, ვერც საქართველოს ნაკრებთან თამაშზე ვიტყვი რამეს. რუსების შესაძლებლობები კარგად ვიცი. ვეცდები, დროთა განმავლობაში მათი თამაშის მანერა, ტაქტიკა შევცვალო. ჩვენი თანამშრომლობა ხანგრძლივი იქნება და მომდევნო მსოფლიო თასისთვის გუნდის მომზადებას ითვალისწინებს.

რაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარ ვარ, მისი თამაში ერთხელ ვნახე პორტუგალიასთან. ვფიქრობ, გუნდი დავაჟკაცდა. მორაგბეები იმ დავალებებს, რომელსაც მე ვაძლევდი, ახლა უფრო უკეთ ასრულებენ. მათი თამაში უფრო დახვეწილი გახდა და მთლიანობაში, გუნდი გაცილებით უკეთ თამაშობს ვიდრე ეს ჩემს დროს იყო.

დარწმუნებული ვარ, იმის გამო, რომ ახლა მოწინააღმდეგე გუნდის, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ვარ, გულშემატკივრები არ დამისტვენენ. საქართველოში მე არა მარტო ბევრი მეგობარი, არამედ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ძმები მყავს. თუნდაც გია ჭუმბურიძე.

საქართველოში ცუდ დროს მომიწია მუშაობა, ცხოვრება ძალიან ჭირდა. იმდენი რამ გადამიტანია თქვენთან ერთად, სულით ქართველი ვარ. ახლა, ოთხწლიანი განშორების შემდეგ ისევ რომ ვნახე აქაურობა, გავოცდი. თითქმის ყველაფერი შეცვლილია, ქალაქი გალამაზებული. ეროვნული სტადიონი რომ ვნახე, ლამის თვალები გადმომიცვივდა. რა ლამაზად და ხარისხიანად გაგიკეთებიათ ყველაფერი. ჩემს შეფასებას ერთი სიტყვით გამოვხატავ - ბრავო.

ვლადიმირ პავლოვი, **რუსეთის ნაკრების კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:** - უცხოელ მწვრთნელს საკმაოდ დიდხანს ვარჩევდით. რამდენიმე კანდიდატი გვყავდა, მათ შორის ზელანდიელი, ავსტრალიელი და რუმინელიც. არჩევანი კლოდზე შევაჩერეთ. მას პირადად შევხვდი პარიზში , მომეწონა მისი კონცეფცია, ხედვა. ის საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტია და ვფიქრობ ჩვენს იმედებს გაამართლებს. მისი დანიშვნა, სულაც არ ნიშნავს, რომ წამყვანი რუსი მორაგბეები საფრანგეთის კლუბებს მიაშურებენ. ისე, როგორც ეს საქართველოში მოხდა. ამის თაობაზე ჩვენ ცალკე საუბარი გვქონდა. ის დაეთანხმა ჩვენ მოსაზრებას, რომ საუკეთესო რუსი მორაგბეები შინაურ ჩემპიონატში უნდა ასპარეზობდნენ.

ერთი სათხოვარი გვაქვს მას მედიასთან. ჩვენ საქართველოში ჩამოსვლაზე და თამაშზე უარი არასდროს გვითქვამს. ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვდივართ, რადგან აქ უამრავი მეგობარი გვყავს. მინდა, გააფრთხილოთ გულშემატკივრები, რომ ყველგან, მთელ მსოფლიოში ლამაზ რაგბის ქომაგობენ. არ უნდა ხდებოდეს ის რაც შარშან მოხდა. რუსეთის ჰიმნს დაუსტვინეს, მაშინ უბრალოდ გუნდის მოედნიდან გაყვანა ვერ მოვასწარი"...

მალხაზ ჭეიშვილი, **საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:** - საქართველო ტრადიციების მიმდევარი ქვეყანაა. ვეცდებით, რუსებთან თამაშების ტრადიცია არ დავარღვიოთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გავიმარჯვოთ.

პალიკო ჯიმშელაძე, **საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** - მართალია, ამ შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის ექვსი მოთამაშე გვაკლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის მოთამაშეები, რომლებიც მათ ცვლიან ბოლომდე თავდადებით იბრძოლებენ. ის დრო რაც თამაშამდე მაქსიმალურად გამოვიყენეთ. ეს სპორტია, თამაშში, შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს, თუმცა ხაზგასმით უნდა ავღნიშნო, რომ უკან დახევას არ ვაპირებთ.



ნაკრების გუშინდელი ვარჯიში. კვირიკაშვილი, სამხარაძე, აბუსერიძე, შკინინი, ჯიმშელაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ფიგურული ციგურაობა



მსოფლიო ჩემპიონატი

# დასანანი წაქცევა რომ არა...

TOKYO JAPAN 2007 World Figure Skating Championships

**ტოკიოში** ფიგურული ციგურაობის მსოფლიო ჩემპიონატზე პირველივე ილეთის, სამმაგი ნახტომის შესრულებისას დაეცა 17 წლის **ელენე გედევანიშვილი**, რაც შემდეგ ძალიან კარგი სრიალითაც ველარ გამოასწორა. გედევანიშვილმა ტექნიკური ელემენტების შესრულებაში საკმაოდ ნორმალური შეფასება მიიღო - 30,40. სამაგიეროდ პროგრამულ კომპონენტებში მხოლოდ - 24,57 დაიმსახურა. წაქცევისთვის მას ქულაც ავტომატურად დააკლდა.

ელენე გედევანიშვილმა ჯამში 53.97 ქულა დააგროვა. სამწუხაროდ, მოკლე პროგრამის შემდეგ გედევანიშვილი მხოლოდ მე-13 ადგილზეა და ლიდერ კორეელ **იუ-ნა კიმს** ზუსტად 18 ქულით ჩამორჩება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ელენე ტრადიციულად მოკლე პროგრამაში უკეთ გამოდის, ვიდრე თავისუფალში, დღეს მისთვის კარგი შედეგი მსოფლიო ჩემპიონატზე ნაჩვენები შარშანდელი შედეგის (მე-14) გაუმჯობესება იქნება.

დღეს ქალთა თავისუფალი პროგრამა მსოფლიო ჩემპიონატს დაასრულებს. კვალიფიკაციაგავლილი 24 სპორტსმენი ყინულზე ჩვენი დროით დღის პირველის ნახევრიდან გავა. ელენე მეორე ჯგუფშია და მეცხრეს მოუწევს ყინულზე გასვლა.

კორეელმა იუ-ნა კიმმა გაამართლა სპეციალისტთა პროგნოზები და შოკისმომგვრელი მოკლე პროგრამა შემოგვთავაზა (71,95). მისი დაწევა ჯერჯერობით შეუძლიათ **მიკი ანდოს** (იაპონია, 67,98) და ევროპის ჩემპიონ **კაროლინა კოსტნერს** (იტალია, 67,15). მსოფლიო ჩემპიონი **კიმი მაისნერი** მეოთხეა, მედლებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ შეუძლიათ ამერიკელ **ემილი ჰიუზსა** და ორ იაპონელს: **მაო ასადასა** და **იუკარი ნაკანოს**. ძალზე ცუდად ისრიალეს კანადელმა **ჟანი როშემ** და ფინელმა **კიირა კორპიმ**, თურქი **თუგბა ქარადემირი** კი საერთოდ ვერ მოხვდა 24 უძლიერესში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფიგურული ციგურაობა.
მსოფლიო ჩემპიონატი.
20-25 მარტი, ტოკიო (იაპონია)

| ქალები. მოკლე პროგრამა | |
|---|---|
| 1. იუ-ნა კიმი (კორეა) | 71,95 |
| 2. მიკი ანდო (იაპონია) | 67,98 |
| 3. კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 67,15 |
| 4. კიმი მაისნერი (აშშ) | 64,67 |
| 5. მაო ასადა (იაპონია) | 61,32 |
| 6. ემილი ჰიუზი (აშშ) | 60,88 |
| 7. იუკარი ნაკანო (იაპონია) | 60,62 |
| 8. იულია შებეშტიენი (უნგრეთი) | 59,98 |
| 9. სარა მაიერი (შვეიცარია) | 58,52 |
| 10. სუსანა პოიკიო (ფინეთი) | 57,16 |
| 11. ელენა სოკოლოვა (რუსეთი) | 55,83 |
| 12. არინა მარტინოვა (რუსეთი) | 54,69 |
| **13. ელენე გედევანიშვილი (საქართ.)** | **53,83** |
| 14. ვალენტინა მარკეი (იტალია) | 51,88 |
| 15. ანასტასია გიმაზეტდინოვა (უზბ.) | 49,99 |
| 16. ჟანი როშე (კანადა) | 49,85 |
| 17. კიირა კორპი (ფინეთი) | 49,63 |
| 18. ალისა შჩისნი (აშშ) | 49,43 |
| 19. ჯოუნი კარტერი (ავსტრალია) | 48,46 |
| 20. მირა ლეუნგი (კანადა) | 47,05 |
| 21. იან ლიუ (ჩინეთი) | 46,59 |
| 22. ელენა გლებოვა (ესტონეთი) | 46,10 |
| 23. თამარ კაცი (ისრაელი) | 45,66 |
| 24. იდორა ჰეგელი (ხორვატია) | 44,91 |

# მჯერა, ათეულში შევა!

**საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი ჯაფარიძე ელენა გედევანიშვილს ამჯერად თან არ ახლავს - ბატონი ირაკლი გადაუდებელ საქმეთა გამო თბილისში დარჩა და აქედან ადევნებს თვალს შეგირდის ასპარეზობას. ელენეს გამოსვლის შემდეგ დავუკავშირდით და მას კომენტარი ვთხოვეთ.**

- ცოტა განბილებული ვარ, მაგრამ საერთო ჯამში, მაინც კმაყოფილი გახლავართ - ელენემ პირველი ილეთის გაფუჭების შემდეგ შეძლო ძალების მოკრება და ძალიან კარგად ისრიალა. აშკარაა, რომ სპორტული ფორმის პიკთან ახლოსაა - ამერიკაში ვარჯიშმა ძალიან არგო. მე კავშირი მქონდა ქალბატონ გალინა ზმიევსკაიასთან და ვიცი, რომ ელენეს მაღალ დონეზე სრიალი შეუძლია.

**- რომ არ დაცემულიყო, თქვენი აზრით, რომელ ადგილს დაიკავებდა?**

- მან ისეთი ილეთი გააფუჭა, რომელიც 8.5 ქულით ფასდება. 8.5 ქულა რომ დავამატოთ მის შედეგს 62-მდე ავალთ, ეს კი მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის იქნებოდა საკმარისი. დასანანი ის უფრო არის, რომ ელენეს ეს ილეთი აქამდე არასდროს გაუფუჭებია, თუმცა სპორტში ყველაფერი ხდება.

**- საბოლოოდ რომელი ადგილისთვის იბრძოლებს?**

- მწამს, რომ ათეულში შევა.

**- აქამდე გედევანიშვილი ქულათა მარაგს მოკლე პროგრამის ხარჯზე იქმნიდა - თავისუფალი უარესად გამოსდიოდა და რატომ ხართ ასე ოპტიმისტურად განწყობილი?**

- უკვე გითხარით, რომ ელენე კარგ ფორმაშია და თავისუფალი პროგრამაც უკეთ აქვს მომზადებული. თუკი უხეში შეცდომები არ დაუშვა, ათეულში აუცილებლად შევა.

**ზვიად შათირიშვილი**

## სუმო

# თასი ნაადრევია

გუშინ იმპერატორის თასზე ოცნება დასრულდა - კოკაიმ პირველ მაეგაშირა **ტოიონოშიმასთან** კარიერაში პირველად წააგო და მეოთხე მარცხით პირველობის თეორიული შანსიც მოისპო. კოკაის ბალანსი გახდა 9-4, მას კვლავ შეუძლია პირადი რეკორდის (10 მოგება) გაუმჯობესება, ამისთვის კი დარჩენილი ორი ბრძოლის მოგება მართებს. ტოიონოშიმა ქართველს ყოჩაღად დაეტაკა და უფრო დაბალი სიმძიმის ცენტრის წყალობით წონასწორობა დააკარგვინა, კოკაი ზურგზე დაეცა. ტოიონოშიმა ელიტაში ყველაზე დაბალია (170 სმ.). დღეს კოკაის მეტოქე მე-11 მაეგაშირა **კაკურიუა** (8-5), კოკაი 21 წლის მონღოლს პირველად იანვარში შეხვდა და დამარცხდა.

დღეს ბაშოზე ბევრი რამ უნდა გაირკვეს ერთმანეთს თასის ორი მთავარი მოცილე (დებიუტანტ **ტოჩიოძანს**, ალბათ, შანსი არა აქვს) ხვდება - მონღოლები, ლიდერი ოძეკი **ჰაკუჰო** და დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ**, რომელიც "თეთრ ფენიქსს" ერთი მოგებით ჩამორჩება.

სამწუხაროდ, მარტის ბაშოც უარყოფითი შედეგით (3-4) დაასრულა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, გუშინ მან **ტაკუნიშიკისთან** წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
11-25 მარტი, ოსაკა (იაპონია)

XIII დღე. **კოკაი - ტოიონოშიმა 0:1 (იორიტაოში, 2,7 წამი), ასაშორიუ - კოტოოშუ 1:0, კაიო - კისენოსატო 1:0, ჰაკუჰო - ჩიოტაიკაი 1:0, ჰომაშო - კოტომიცუკი 1:0, კოტოშოგიკუ - ფუტენო 1:0, ამა - ტაკეკაძე 1:0, ტოკიტენკუ - ტაკამისაკარი 1:0, კიოკუტენჰო - ასასეკირიუ 1:0, კასუგაო - კასუგანიშიკი 1:0, ტამაკასუგა - იოშიკაძე 1:0, კაკიძოე - ჰაკუროძანი 1:0, როჰო - ტოჩიოძანი 1:0, დეჯიმა - ტოსანოუმი 1:0, ტოჩინოჰანა - ტამანოშიმა 1:0, ვაკანოსატო - ამინიშიკი 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. 12-1: ჰაკუჰო (ოძეკი); 11-2: ასაშორიუ (იოკოძუნა); 10-3: ტოჩიოძანი (მაეგაშირა 14); 9-4: ჰომაშო (მ 5), კოკაი (მ 7), ტამანოშიმა (მ 8), ვაკანოსატო (მ 16).

XIV დღე: **კოკაი - კაკურიუ, ასაშორიუ - ჰაკუჰო, კაიო - ტაკეკაძე, ჩიოტაიკაი - კოტოოშუ, კოტოშოგიკუ - ტამაკასუგა, ტოჩიოძანი - კოტომიცუკი, ტოკიტენკუ - კისენოსატო, ჰომაშო - ამა, ტოიონოშიმა - კაკიძოე, დეჯიმა - ასასეკირიუ, კასუგანიშიკი - კიოკუტენჰო, კასუგაო - ფუტენო, ვაკანოსატო - ტაკამისაკარი, როჰო - ტამანოშიმა, ტოკიცუუმი - ტოჩინონადა, ამინიშიკი - იოშიკაძე, უშიომარუ - ივაკიამა.**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალათბურთი**

საქართველოს ჩემპიონატი. XVIII ტური

## მარტოხელა ჟურნალისტი პრესკონფერენციაზე



ზაზა ცაგარეიშვილი



გია ჯავახიშვილი

მე-17 ტურის წინასამატჩო პრესკონფერენციას ორი ჟურნალისტი დაესწრო, გუშინ მე-18 ტურისას - ერთი... მოკლედ, პრესკონფერენციებზე მედიელთა რიცხვი პროგრესიით კლებულობს, რასაც ნამდვილად სჭირდება ყურადღების მიქცევა, თორემ ორ რესპონდენტზე ერთ ჟურნალისტს ვინ ჩივის, ერთიც აღარ მივა.

მაგალითად, გუშინ "დინამო"-თსუ-ს წინასამატჩო პრესკონფერენციას **ელენე გედევანიშვილის** იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა დაემთხვა და ბევრი ვიფიქრე, "პრესკოზე" წავსულიყავი, თუ ქართველი მოციგურავის გამოსვლა მენახა. კიდევ კარგი, გამახსენდა, რომ "კაფე მსოფლიო სპორტში" ათამდე ტელევიზორია დამონტაჟებული და ელენეს ხილვა პრესკონფერენციის დროსაც შეიძლებოდა...

ადრეც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ წინასამატჩო შეხვედრებს თამაშისშემდგომი პრესკონფერენციები ათასჯერ სჯობს. მატჩის მერე რომ ყველას აინტერესებს წაგების (ან მოგების) მიზეზების მწვრთნელისგან მოსმენა. თამაშის წინ კი ერთსა და იმავეს ვლაპარაკობთ - არ გვეყოლება ოთხი, ან ხუთი კაცი, ვიბრძოლებთ მოსაგებად!..

ამ შესავლის გამო ბოდიშს მოვუხდი გუშინდელი პრესკონფერენციის მონაწილეებს, რომლებიც ჟურნალისტთა არგამოცხადების გამო განაწყენებას გარეგნულად არ იმჩნევენ და გულითადად საუბრობენ.

**გია ჯავახიშვილი** (თსუ, მეორე მწვრთნელი): - "დინამოსთან" მატჩში მხოლოდ მიხეილ ბერიშვილი დაგვაკლდება, რომელსაც პაპა დაელუპა და რაიონშია. გამოჯანმრთელდა დავით იმნაძე. კვირის შეხვედრისთვის სერიოზულად ვემზადებით, რადგან ვიცით, რომ "დინამოს" წინააღმდეგ მოდუნება წამითაც არ შეიძლება. ამასწინათ ზაზა ცაგარეიშვილის გუნდმა "ავიამშენი" დაამარცხა. როგორც ყოველთვის, "დინამო"-თსუ-ს დაპირისპირება ამჯერადაც სანახაობრივი უნდა გამოვიდეს.

**მიხეილ ფანჩულიძე** (თსუ, ფორვარდი): - ამ ჩემპიონატში "დინამოსთან" ჩვენს დაპირისპირებებში გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წუთებზე ირკვევა. მაგალითად, ბოლო შეხვედრაში მეტოქეთაგან ზურაბ ბადრიძეს ჰქონდა ჩვენი დამარცხების შანსი, მაგრამ გადამწყვეტი ტყორცნა ააცილა.

**ზაზა ცაგარეიშვილი** ("დინამო", მწვრთნელი): - "ავიამშენის" ძლევის მერე "აზოტთან" ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ეს ლოგიკურია, რადგან ხშირად კარგად ჩატარებულ შეხვედრას ცუდი მოსდევს... იმედი მაქვს, ბიჭებმა რუსთაველებთან წაგების შემდეგ სწორი დასკვნები გამოიტანეს და თსუ-სთან კარგად ვითამაშებთ. დაგვაკლდება ლაშა კეშელავა (რომელიც პირად საქმეებზე ბათუმშია) და დავით მურჯიკნელი (რომელსაც ფეხი აწუხებს). საეჭვოა ზურაბ ბადრიძის მოედანზე გამოსვლაც. ჩემთვის მთავარი "დინამოს" მოგება არაა, უფრო მნიშვნელოვანია ნებისმიერ მატჩს სწორად მივუდგეთ და ზოგადად, ქართულმა კალათბურთმა მოიგოს.

**დავით გვიმრაძე** ("დინამო", ცენტრი): - თებერვალში მუხლის ტრავმის გამო, რამდენიმე მატჩი გამოვტოვე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ. გუნდთან ერთად ფლეი ოფისთვის მეც გამალებით ვემზადები, რადგან მთავარია არა გამოსვლა, არამედ კარგად გამოსვლა. რაც შეეხება კვირის შეხვედრას, თსუსთან ამ სეზონში სამი თამაში წავაგეთ და ძალიან გვინდა, მეოთხე ცდაზე ნავსი გავტეხოთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**23 მარტი. რუსთავი**

**აზოტი–მაკაბი 109:66**

20:16, 24:16, 36:19, 29:15

აზოტი: გამყრელიძე (7 ქ. 10 პ), ბეჟანიშვილი (13 ქ), ბოისა (11 ქ), დიდია (11 ქ), ცეკვავა (9 ქ), ტუღუში (10 ქ. 8 მ. 6 პ), მარკოიშვილი (14 ქ), უგრეხელიძე (14 ქ), გოგობერიშვილი (7 ქ), ბერძენიშვილი (6 ქ), მინაშვილი (2 ქ), ჭოჭუა (5 ქ)

მაკაბი: დოლიძე (6 ქ. 7 პ), ხორავა (1 ქ), გ. შერმადინი (39 ქ. 11 მ), კორძაძე (4 ქ), კორკოტაძე (6 ქ), ს. შერმადინი (6 ქ. 9 მ), პირველაშვილი (4 ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 18 | 17 | 1 | 35 |
| 2. ავიამშენი | 17 | 13 | 4 | 30 |
| 3. თსუ | 17 | 11 | 6 | 28 |
| 4. დინამო | 17 | 5 | 12 | 22 |
| 5. მაკაბი | 18 | 3 | 15 | 21 |
| 6. სტუ | 17 | 3 | 14 | 20 |

**ხვალ. ვერის პარკში**

**14:00 ავიამშენი–სტუ**

**16:00 თსუ–დინამო**



ნიკა ცქიტიშვილი ესპანურ პრესაში

## დაცვაში სმენა, შეტევაში თავისუფლად!

**ესპანურ პრესაში ნიკა ცქიტიშვილის შესახებ ინფორმაციებს თითქმის ყოველდღიურად ვეძებთ, მაგრამ მისი სევილიაში ჩასვლისა და პრეზენტაციის შემდეგ ქართულ გვარს მხოლოდ მატჩების მიმოხილვებში ვხვდებოდით. გუშინ კი სევილიურ გაზეთში ნიკას შესახებ მცირე პუბლიკაცია დაიბეჭდა, რომლის თარგმანსაც დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.**

"10-დან 7 მატჩის მოგება შეგვიძლია" - ეს სათაური გახლავთ.

"ამერიკიდან ჩამოსული ქართველი ფორვარდი ნიკოლოზ ცქიტიშვილი ესპანურ კალათბურთსა და "კახა სან ფერნანდოს" ნელ-ნელა ეგუება. ეს მის თამაშზეც ისახება - ამასწინათ ევროგრანდ "ბარსელონას" წინააღმდეგ ესპანეთში ჩამოსვლის შემდეგ საუკეთესო მატჩი ჩაატარა. 16 წუთში 12 ქულა ჩააგდო, ბურთი 6-ჯერ მოხსნა და 1 პასიც გააკეთა. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 18 შეადგინა. ეს მაჩვენებელი "მერსიასან" 14-ს გაუტოლდა - სკიტამ 16 წუთში 15 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა. როგორც ხედავთ, "კახას" ახალწვეულის პროგრესი აშკარაა. შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ NBA-დან დაბრუნებული კალათბურთელი 16 წუთში ორჯერ მეტს უნდა თამაშობდეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცქიტიშვილი ბოლო სეზონში სათამაშო დროის ნაკლებობას განიცდიდა და პრაქტიკის შეძენისთვის წუთები ნელნელა უნდა მოემატოს.

ქართველი ფორვარდი მწვრთნელის უნდობლობას ნამდვილად არ უჩივის: *"ახალ კლუბში თავს კარგად ვგრძნობ. ქალაქსაც გავუშინაურდი და თანაგუნდელებსაც. ურთიერთობის მხრივ არანაირი პრობლემა არა მაქვს. არც გუნდის სისტემაში ჩაჯდომა გამჭირვებია, რაც მწვრთნელის დამსახურებაა - მონჩო ლოპესის ვარჯიშები ძალიან სახალისოა"*, - აცხადებს ცქიტიშვილი.

სკიტას თქმით, მწვრთნელის ცვლილებამ მის თამაშზე დადებითად იმოქმედა: *"ყოფილი მწვრთნელი მანელ კომასია და ახალი, მონჩო ლოპესიც მაღალი დონის სპეციალისტები არიან. მაგრამ ჩემს სათამაშო სტილთან მონჩოს ტაქტიკა უფრო ახლოსაა. კომასი სისტემას სისტემას უმატებდა და ტაქტიკური სქემა მეტად იტვირთებოდა. თუ მის ჩანაფიქრს ბოლომდე მიიყვანდი, წარმატება გარანტირებული იყო, მაგრამ დაბოლოვება იოლი არ გახლდათ. ლოპესის ტაქტიკა უფრო მარტივი და მსუბუქია. იგი ყოველი მატჩის წინ მეუბნება: სკიტა, დაცვაში მჭიდროდ ითამაშე და შეტევაში თავისუფლად იმოქმედე. არაფერში გ ზღუდავო... ასეთ პირობებში თამაში მიადვილდება".*

ცქიტიშვილი აცხადებს, რომ ესპანეთში ჩამოსვლას არ ნანობს: *"ვფიქრობ წარუმატებლობები უკან მოვიტოვე და კარიერის ახალ, საინტერესო ეტაპს ვიწყებ. რაც მთავარია, ესპანეთის ჩემპიონატი ევროპაში საუკეთესოა. ხოლო აქაურებს კალათბურთის თამაში როგორ შეუძლიათ 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მოგებით დაგვანახეს. მათ ამერიკის ნაკრებიც უკან მოიტოვეს"...*

ქართველი თავდამსხმელი "კახა სან ფერნანდოს" პერსპექტივებზე იმედიანად საუბრობს. მიაჩნია, რომ მომდევნო ეტაპზე აუცილებლად მოხვდება. შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფში რეგულარული ჩემპიონატის 8 საუკეთესო კლუბი ითამაშებს.

*"ფლეი ოფში მოხვედრა ნამდვილად შეგვიძლია. ეს ჩვენს თამაშზეა დამოკიდებული და, ალბათ დამეთანხმებით, რომ ურიგო კალათბურთს არ ვთამაშობთ. ალბათ, იმასაც ხედავთ, რომ დღითი დღე ვუმატებთ და დარჩენილი 10-დან 7 მატჩის მოგება შეგვიძლია, რაც რვაეულში მოხვედრის გარანტი იქნება".*

**ვაჟა სიმონიშვილი**

**თავისუფალი ჭიდაობა**

## კიდევ ერთი რუსეთი–საქართველო, კრასნოიარსკში

ამ უქმეებზე კრასნოიარსკი მოჭიდავეთა მსოფლიო თასს უმასპინძლებს, რუსეთის, საქართველოს, უკრაინის, ირანის, აშშ-ისა და უზბეკეთის ნაკრებების მონაწილეობით. გუშინ გაიმართა წილისყრა, რომელმაც ჩვენი გუნდი მასპინძლებთან და უკრაინელებთან ერთად A ჯგუფში მოახვედრა. წილისყრას ილბლიანს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, რადგან რუსებს ნებისმიერი მეტოქე გვერჩივნა. სამაგიეროდ, ბედი ირანისა და აშშ-ს გუნდებს ეხუმრა და ერთად მოახვედრა.

ჩვენები დღეს დილით სწორედ რუსებს შეხვდებიან, მერე ისვენებენ, საღამოს კი უკრაინელებს დაეჭიდებიან. ჯგუფების გამარჯვებულები ოქროს მედლისთვის იბრძოლებენ, მეორე ადგილებზე გასულები - ბრინჯაოსთვის, დარჩენილი წყვილი კი მეხუთესთვის იჭიდავებს.

შეგახსენებთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობას: **გოჩა კირკიტაძე** (55), **ლევან ჩაჰრაძე** (60), **ოთარ თუშიშვილი** (66), **დავით ახალმოსულიშვილი** (74), **რევაზ მინდორაშვილი** (84), **ლუკა კურტანიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (მძიმე).

რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **მიხეილ მამიაშვილი** აცხადებს, რომ საუკეთესო მსოფლიო თასს ჩაატარებს, მათი ნაკრების თავკაცი **ჯამბულათ თედეევი** კი წილისყრით კმაყოფილია: *„ნორმალური წილისყრაა. კარგია, თუ საქართველო და უკრაინა გვერგო, მაგრამ მეორე სამეულიდანაც რომ შეგვხვედროდა რომელიმე, ცუდი არც მაშინ იქნებოდა. ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს და აუცილებლად გავიმარჯვებთ. ვისთან და როდის მოვიგებთ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. კრასნოიარსკში წაგების უფლება არ გვაქვს და არც წავაგებთ".*

ძლიერი შემადგენლობის გარდა, თედეევმა საჩემპიონო მოტივაციად კიდევ ორი მიზეზი დაასახელა - რუსეთმა მსოფლიო თასი ბოლოს 1992 წელს მოიგო, ტურნირს კი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მასპინძლობს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსებმა გუშინ ქალთა მსოფლიო თასზე მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს და ამ მარცხის გაქარვებას ვაჟთა შეჯიბრებაში შეეცდებიან.

თედეევი ამჯერად შესუსტებული შემადგენლობით გამოდის: ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ჯამალ ოთარსულთანოვი** (55), ოლიმპიური ჩემპიონი **მავლეტ ბატიროვი** (60), ევროპის ჩემპიონი **ზაურ ბოტაევი** და იარიგინის სახელობის ტურნირის ჩემპიონი **შამილ ბატიროვი** (66), ევროპის ვიცე-ჩემპიონი **სერგეი ვიტკოვსკი** და რუსეთის ჩემპიონი **დენის ცარგუში** (74), **გიორგი კეტოევი** (84), ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96), **ალექსეი შემაროვი** და **ალი ისაევი** (მძიმე).

ამ შემადგენლობას ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის 6-6-გზის ჩემპიონი **ბუვაისა საიტიევი** (74), მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **მახაჩ მურთაზალიევი** (66) და ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **კურამაგომედ კურამაგომედოვი** (მძიმე) რომ დააკლდებოდნენ, ადრევე ცნობილი იყო, ბოლო მომენტში კი ევროპისა და მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **საჟიდ საჟიდოვი** (84) და ოლიმპიური ჩემპიონი **ადამ საიტიევიც** (84) გამოაკლდნენ. მიზეზი ტრავმებია, რის გამოც არ რისკავენ ჭიდაობას, რადგან მათთვის უმთავრესი მაინც ევროპისა და მსოფლიოს პირველობებია. არადა, ძმები საიტიევები კრასნოიარსკელები არიან და საკუთარი მაყურებლის თვალწინ ჭიდაობა ძალიან სურდათ, მაგრამ ნაკრების ინტერესები პირადულზე მეტია და არც მათ დართეს ჭიდაობის ნება. ამ ეტაპზე არც **ბესიკ კუდუხოვი** (55) და **ირბეკ ფარნიევი** (66) რისკავენ, თუმცა რუსეთის ნაკრები მაინც ძლიერია.

**ირაკლი თავაძე**

### ოლიმპიურ ჩემპიონებს მოუგეს

**პლაჟბურთი.** ჩვენი ვაჟთა წყვილი **გეორ- გია** სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში "ბანკო დე ბრაზილიაში" ჩაერთო. საკვალიფიკაციო ეტაპზე მათ ჯერ ისრაელის წყვილი **ჩენი-რადკო** დაამარცხეს 18:7, 18:14, შემდეგ კი ბრაზილიური დუეტი - **კარლიო** და **როდრიგო** - 18:12, 18:12. ძირითადი ტურნირის პირველივე მატჩში გეორ-გიას შეხვდნენ ოლიმპიური ჩემპიონები, მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომრები - **რიკარდო** და **ემანუელი**. ქართულმა დუეტმა სამ სეტში გაიმარჯვა - 12:18, 18:15, 15:11.






# რუსული პოლიტიკა ევროსპორტზე

**მგონი, დღევანდელი დღისთვის ყველას კარგახნით ადრე გვაქვს დაჭერილი თადარიგი. ყველაფერი უნდა მოვასწროთ, ამიტომ ბევრი ტვინისჭყლეტის დრო არ არის. გლაზგოდან რეპორტაჟი უკვე წაკითხული გექნებათ, მოსიე სორელის სენტიმენტალური მოგზაურობის ამბავიც, ბაქოდან თბილისამდე. თუ დრო დაგრჩათ, სწრაფად გადაავლეთ თვალი ამ ოთხი ფოტოს კომენტარს და წავედით... ჰემპდენ პარკზე არა, ჯერ პაიჭაძე გრაუნდზე. იქამდე მგონი ელენეც გამოსრიალდება ტოკიოს ყინულზე.**

გოგონა პირველად ვნახეთ შარშან, ლიონში. არა მგონია, პროფესიონალების გარდა ჩვენში ვინმეს შეეძლოს რიტბერგერისა და სალხოვის ერთმანეთისგან განსხვავება, ამიტომ რიცხვებით განვჩხრიკოთ.

2004 წელს დაიკავა მე-12 ადგილი გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატზე, ერთი წლის შემდეგ - მეხუთე! ჯერ პატარა იყო და დიდების ტურნირში გამოსვლის უფლება არ ჰქონდა. როცა 15 წლისა გახდა და უფლება მიიღო, ტურინის ოლიმპიადის საგზურები უკვე განაწილებული დახვდა. დარჩენილი იყო ერთი ტურნირი და ერთი შანსი - 2005 წლის შემოდგომაზე, ვენაში. მოკლე პროგრამაში დაიკავა მეშვიდე ადგილი, თავისუფლის შემდეგ გადავიდა მეოთხეზე და ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

ძველი გაზეთები გადავქექე და ირაკლი ჯაფარიძე ამბობდა - ლიცენზია უკვე დიდი საქმეა და ბევრს არაფერს ველოდები ოლიმპიადაზე, მაგრამ რა იცი... ისეთი რთული პროგრამა აქვს და ისეთი ტექნიკა, შეიძლება რალაცას მიაღწიოს კიდეცო. მთავარია, არ დაიძაბოს და თავისუფლად ისრიალოსო...

მაგრამ ოლიმპიადამდე იყო ლიონი, ევროპის ჩემპიონატი. აქ არავინ არაფერს მოელოდა მისგან და მართლაც დაუძაბავად ისრიალა. სრული ფურორი: მეოთხე ადგილი მოკლე პროგრამის შემდეგ და მეხუთე ჯამში! და ამის შემდეგ, ცხადია, დაიძაბა.

ახლა მოვიყვანოთ რიცხვები.

| | მოკლე | თავისუფალი | ჯამი |
|---|---|---|---|
| 2006, ევ | 60.19 (5) | 93.08 | 153.27 (5) |
| 2006, ოლ | 57.90 (6) | 93.56 | 151.46 (10) |
| 2006, მჩ | 54.55 (8) | 91.65 | 144.20 (14) |
| 2007, ევ | 54.62 (3) | 82.70 | 137.31 (8) |
| 2007, მჩ | 53.83 (13) | | |

ფრჩხილსგარეთ მოყვანილია ქულები და ფრჩხილებში - დაკავებული ადგილი. მთავარი ქულებია და როგორც ხედავთ, პირველი გამოსვლის, ლიონის შემდეგ, თითქმის სულ უკლებს.

შარშან რატომ მოუკლო, გასაგებია. ადგილებით უკან რომ დაიწევდა, ისედაც ცხადი იყო - პირველი ტურნირი ევროპული იყო და მომდევნო ორი - მსოფლიო. ქულებიც გასაგებია - ლიონში არავინ არაფერს არ მოელოდა მისგან და თავისუფლად ისრიალა, მერე კი მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მარტო ის რად ღირდა, რომ ოლიმპიადაზე, თავისუფალ პროგრამაში უძლიერესთა ექვსეულში ისრიალა. ზოგს ისიც კი მოეჩვენა, რომ მედალი ძალიან ახლოს იყო. წარმოიდგინეთ - ზამთრის ოლიმპიადის მედალი!

და წლეულს რატომაც მოუკლო, ესეც გასაგებია. ამ რუსული ევროსპორტის კომენტატორმაც ხომ ტვინი წაგვჭამა. უკვე მეორედ! რუსი ოღონდ პოლიტიკაზე ალაპარაკე. რუსეთში პრობლემები რომ შეექმნა, სააკაშვილმა პირადად გააგზავნა ამერიკაშიო. ეგ გასაგებია, სააკაშვილს ხომ ძალიან უყვარს ამერიკა, იმდენად, რომ ცოლიც ჩრდილოამერიკელი ჰყავსო! **ციგურაობის კომენტატორმა, კაცო!** ალბათ, ჩრდილოატლანტიკელის თქმა სურდა. ამის მერე ველოდი, რომ გვეტყოდა - ქართველებო, დროზე იჯმენით ნატოსგან და დაუბრუნდით დედარუსეთის ძუძუსო, ან ნეიტრალიტეტი მაინც გამოაცხადეთ ბოლოსდაბოლოსო...

რა ჰქვია იმას, ნეიტრალიტეტის პოლიტიკას რომ აწვება ამ ბოლო დროს? აკაკი... თუ კახა... ირაკლი... გვარი არ მახსენდება... დიმპიტაურიძე... მეგონა, რომ ჩემმა LG ტელევიზორმა აურია. პოლიტიკური დებატები ევროსპორტზე, მსოფლიო ციგურაობის გაგანია ფორუმის დროს! აიეტი TV, არ გვინდა რუსული, ჩაგვირთეთ ინგლისურენოვანი ევროსპორტი!

არადა, გოგონამ კარგად ისრიალა და ერთი ნაქცევა რომ არა, PB ექნებოდა - ანუ საუკეთესო პირადი მაჩვენებელი. ირაკლი ჯაფარიძემ გვითხრა, რომ 8.5 ქულა დააკლდა ამ ნაქცევითო. დაუმატეთ ახლა გუშინდელ შედეგს და ნახავთ. და დღეს აუცილებლად შეავსეთ ზემოთმოყვანილი ცხრილი - შეადარეთ თავისუფალ პროგრამასა და ჯამში მიღებული რიცხვი - და ნახავთ, აქვს თუ არა პროგრესი. ქულებში თუ ექნა, თანდათან ადგილებშიც ექნება. თუ არადა, რა გაეწყობა, მოგვიწევს ლოდინი გაისამდე. ეხლა მაინც მშვიდად მომზადება ამერიკაში. ოღონდ, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი, კიმ მაისნერი ელენეს ხნისაა. ეგ არაფერი - ზოგი ადრე აღწევს შედეგს და ზოგი ცოტა გვიან, მაგრამ სპორტში ძალიან ბევრი დრო არავის არა აქვს. ერთ-ორ წელიწადში მაინც უნდა ჰქონდეს...

და რაღა დაგვრჩა? მოკლედ დანარჩენ ფოტოებზე.

გრიშა აქ არის და ბატონი საშაც აქ არის. ჰემპდენ პარკზე. ბატონი გრიგოლი ალბათ არ მიწყენს ასე მოხსენიებას, ჩემი ხნის კაცია. გუშინ შოტლანდიურმა ვებგვერდებმა ნალარა დასცეს - შოთას თამაში საეჭვოაო, მაგრამ თოთაძემ გლაზგოდან დაგვამშვიდა. ითამაშებს. ერთ ოციოდ ლარს დავდებ დღეს და დანარჩენზე თამაშის შემდეგ ვილაპარაკოთ. 7 ქულა გვაქვს. ურუგვაისთან და თურქეთთან რომ არ მოგვეგო, ერთი თხუთმეტიც კარგად გვექნებოდა. არასრულწლოვანები ნუ მომბაძავენ!

და ქვემოთ, მარჯვნივ - ბორჯღალოსნები "ბორია გრაუნდზე" - აღარ ჩამოვთვლი, ისედაც კარგად იცნობთ. ცოტათი მომბეზრდა კიდეც ამ რუსებთან გაუთავებელი ომები. მეთერთმეტე შეტაკება! შარშან სახელიც კი მოვუძებნეთ ბრძოლას - შურისძიება გაზისთვის! წლეულს შეიძლებოდა - არ გინდოდათ ღვინო და ბორჯომი?!..

იმედია, შარშანდელი ველურობა არ გამეორდება - ვიღაც მიკროფონიანი კაცი რომ დასვეს და ტრიბუნიდან დედას რომ აგინებდა! კლოდიც ნამუსზე გვაგდებს, დარწმუნებული ვარ, არ მისტვენთო და აი ეგ კი შეეშალა და არ უნდა ეთქვა!

რა თქმა უნდა, ოდესმე წავაგებთ რუსეთთან, მაგრამ დღეს არა - იმათაც კაი ბლომად ხალხი აკლიათ, ნუ გეშინიათ. იმათ უფრო ეშინიათ და თან წლევანდელი წაგებების გეგმა უკვე შესრულებული გვაქვს.

და სულ ბოლოს, ზედა მარჯვენა ფოტო. სინქრონული ხტომა კოშკურიდან. ესენი ძირითადად ბატუტზე ვარჯიშობდნენ ხოლმე. ჩვენი ბიჭები არიან თავიანთ პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, მელბურნში. გიორგი გევორქიანი და ჭოლა ჭანტურია. სრულიად შემთხვევით, ნიკოლოზმა აღმოაჩინა ეს ძალიან მაგარი ფოტო - სახეებს დააკვირდით. მედლებამდე შორია, მაგრამ ამათაც აქვთ დრო შედეგების გასაუმჯობესებლად.

**მამუკა ჩიხლაძე**






ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდებერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ზაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა